საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 28 იანვარი, 2015 წელი.

№16 (7661)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფეხშეკრული და ჭიანებით ბუჩქის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

დამნაშავის დაჭერამდე თუ მოგჩივანს მოვსპობთ ადრე...

4

იური ვაზაგაშვილის ლიკვიდაცია, ნაცების და მხოლოდ ნაცების ინტერესებშია!!!

ამიტომ, იური ვაზაგაშვილის სიკვდილმა, ერთიანად უნდა დაამთავროს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობად წოდებული, ფაშისტური ნეოლიბერალური პარტიის ბოგინი საქართველოში და მათი უნამუსო პრეზიდენტყოფილი სააკაშვილიც ბორკილდადებული უნდა შევასახლოთ მისსავე აშენებულ გლდანის ციხეში!

7 რა ქონებით ტოვებს უზენაეს სასამართლოს კონსტანტინე კუბლაშვილი

პოლონეთმა იდეზერტირა, საქართველო რუსეთს შესაჭმელად დაუტოვა 8

პატრიარქი: ღამის ბარები ახალგაზრდების სულს კლავს

კუკიაზე, წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში სადღესასწაული წირვის დასრულების შემდეგ საქართველოს პატრიარქმა მრევლს ტრადიციული ქადაგებით მიმართა და წმინდა ნინოს დღესასწაული მიულოცა.

„დიდება და მადლობა უფალს, რომ საქართველოს მოუვლინა წმინდა ნინო, რომელმაც მოაქცია საქართველო. დღევანდელი დღე განსაკუთრებულია ამ ტაძრისათვის. ტაძარი 120 წლისთავს დღესასწაულობს. ამ წმინდა ადგილზე იგი 120 წლის წინათ აშენდა. შევთხოვ უფალს, ნათელში ამყოფოს ტაძრის დამაარსებელთა და აღმშენებელთა უკვდავი სულები“, — აღნიშნა პატრიარქმა.

უწმინდესის თქმით, დღეს ჩვენ ვფიქრობთ იმ ღვაწლზე, რაც წმინდა ნინომ გასწია საქართველოში. პატრიარქმა რამდენიმე სიტყვით ახალგაზრდობის შესახებაც ისაუბრა. უწმინდესის განცხადებით, წმინდა ნინოს ღვაწლი სასწაულებრივია. კერძოდ, როგორ შეძლო 13-14 წლის ბავშვმა, წამოსულიყო საქართველოში ასეთ სიშორეზე, რადგან საქართველო იმ დროს წარმართული იყო. უწმინდესის თქმით, წმინდა ნინომ იცოდა, რომ საქართველოში ინახებოდა მაცხოვრის შესამოსელი, რომელიც ჯვარცმის დროიდან ჩამოიტანეს.

„წმინდა ნინო — ეს არის სასწაულებრივი და უდიდესი პიროვნება საქართველოს ისტორიაში. წმინდა ნინომ უდიდესი სასწაულით მოაქცია საქართველო და აი, დღეს, მე ვფიქრობ იმ ღვაწლზე, რომელიც უნდა იკისროს ჩვენმა ახალგაზრდობამ. წარმოიდგინეთ, როგორი პასუხისმგებლობით ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები. დავით აღმაშენებელი 16 წლის იყო, როდესაც მას სამეფო გვირგვინი დაადგეს. ეს იყო უდიდესი პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე. თამარ მეფე მცირეწლოვანი იყო, როდესაც მისი მამის თანამოსაყდრე გახდა. ყოველი ადამიანი კი უნდა ფიქრობდეს, არა იმაზე რა ჭამოს და რა ჩაიცვას, ამას მას ღმერთი მისცემს, არამედ რისთვის მოვიდა ამ ქვეყანაზე, რა გააკეთოს სამშობლოსათვის“, — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, თანამედროვე ახალგაზრდობა გართობაზე ფიქრობს. არის ახალგაზრდების ნაწილი, რომელიც ფიქრობს ქვეყანაზე, მაგრამ ვერ გაუკვლევია გზა. უწმინდესმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდობა ღამის ბარებსა და გართობაზე არ უნდა ფიქრობდეს, რადგან ღამის ბარები მათ სულს კლავს და ახალგაზრდობა ამას უნდა ერიდოს.

„ღმერთმა გაუხსნას გული და გონება ჩვენ ახალგაზრდობას, სიბრძნე მისცეს. ჩვენ ვიცით, ბიბლიიდან რომ „შიში ღვთისა არის საწყისი სიბრძნისა“. ეს „შიში ღვთისა“ უნდა ჰქონდეს ჩვენს ახალგაზრდობას, უნდა ჰქონდეს სახელმწიფოებრივი აზროვნება, რა უნდა გააკეთოს. ჩვენი ცხოვრების წლები არც ისე დიდია“, — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, ადამიანი დღევანდელ დროში 70 და მეტ წელს ცოცხლობს. ცხოვრების ბოლო წლებს ავადმყოფობასა და სალმობაში ატარებს, ამიტომ უნდა მოასწროს კარგი საქმეების კეთება.

„ერთმანეთის სიმძიმე ვიტვირთოთ და ასე აღვასრულოთ რჯული ქრისტესი. დავეხმაროთ ერთმანეთს და ღმერთი დაგვეხმარება ჩვენ“, — აღნიშნა უწმინდესმა.

ქადაგების ბოლოს პატრიარქმა წმინდა ნინოს მოსახელეებს, ნინოებს გუშინდელი დღე განსაკუთრებით მიულოცა, დალოცა და აღნიშნა, რომ ღმერთმა ინებოს, ბევრი სიკეთის გაკეთება შეძლონ და მათ უფალმა ხანგრძლივი სიცოცხლე მისცეს.

ტაძარში „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე იმყოფებოდა. წირვის დასასრულს უწმინდესი ამბიონიდან გამობრძანდა და ნინო ბურჯანაძე დალოცა. ამასთან, კათოლიკოს-პატრიარქმა ტაძრის მღვდელმსახურნი დააჯილდოვა. კერძოდ, ზოგიერთი მათგანი მიტრის ტარების უფლებით, ზოგიერთი ოქროს ჯვრის ტარების უფლებით, ზოგი კი დეკანოზის ხარისხში აიყვანა.

პაატა ბურჭულაძის საიუბილეოდ

12 თებერვალს, სპორტის სასახლეში სახელოვნებო ინდუსტრია „არტპალასი“ ქართველი საოპერო მომღერლის პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილ გრანდიოზულ კონცერტს გამართავს, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად საქართველოს 15-მდე ქართველი და უცხოელი მსოფლიო ვარსკვლავი ესტუმრება.

„სპეციალურად ამ დღისათვის ერთიანდება ორი სიმფონიური ორკესტრი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი და ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. გაერთიანებულ ორკესტრს ორი მაესტრო ჯანლუკა მარჩიანო და ნიკოლოზ რაჭველი უდირიჟორებენ“, — აცხადებენ ორგანიზატორები.

მომღერლების გარდა კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ნაციონალური ბალეტ „სუხიშვილების“ მოცეკვავეები და ნინო ანანიაშვილი ოპერის საბალეტო დასის წევრებთან ერთად.

პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით დღეს „არტპალასის“ პრესკლუბში პრესკონფერენცია გაიმართება.

პროექტის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისის საკრებულო და თბილისის მერია.

პროექტის გენერალური სპონსორია სამშენებლო კომპანია „ჯი-დი-ჯი“.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ პრემიერ-მინისტრი

მადლობა თითოეულ ლიტველს

ქართველები ვართ ამაყნი, რომ გვყავს გამორჩეული მეგობრები ბალტიის სახელმწიფოებში.

სასტუმრო „რედისონში“ საქართველო-ლიტვის ბიზნესფორუმი მიმდინარეობს. ფორუმი საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიტყვით გამოსვლით გაიხსნა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, ლიტვა საქართველოს გამორჩეული მეგობარია, რითაც ქართველი ხალხი ამაყობს.

„ჩვენთვის ძალიან დიდი პატივი და სასიხარულოა, რომ საქართველოში გვეწვია ლიტვის დელეგაცია პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. გუშინ გვქონდა ძალიან კარგი და ნაყოფიერი შეხვედრა, განვიხილეთ მნიშვნელოვანი საკითხები. მიმაჩნია, რომ ჩვენ კიდევ უფრო მეტად უფრო გავაღრმავოთ და გავაძლიეროთ ურთიერთობები ჩვენს ნამდვილ მეგობარ ლიტვასთან. ლიტვა არის საქართველოს მართლაც გამორჩეული მეგობარი. ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ მათ მხარდაჭერას, ლიტველი ხალხის მხარდაჭერას, ქართველები ვართ მართლაც ამაყნი, რომ გვყავს გამორჩეული მეგობრები ბალტიის სახელმწიფოებში. ამიტომ მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ ლიტველს მხარდაჭერისთვის“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

რაც შეეხება დღევანდელ ფორუმს, ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, ეს კარგი შესაძლებლობაა, რომ ქართველმა და ლიტველმა ბიზნესმენებმა გაცვალონ მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გააძლიერონ ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები, ასევე როგორ უნდა მოვიზიდოთ ინვესტორები ლიტვიდან და პირიქით.

„დღევანდელ ფორუმში მონაწილეობენ ლიტველი ბიზნესმენები, რომლებიც დროსა და ძალისხმევას არ იშურებენ იმისათვის, რომ მოიძიონ ახალი შესაძლებლობები საქართველოში“, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

საქართველოში ბიზნესი ხელშეუხებელია

საქართველოში ბიზნესმეგობრული გარემოა, — განაცხადა ღარიბაშვილმა ლიტვის ბიზნესფორუმზე სიტყვით გამოსვლისას.

„მინდა, გითხრათ, რომ საქართველოს ეკონომიკა მართლაც მრავალფეროვანია და, დარწმუნებული ვარ, სულ უფრო მეტ ინვესტორს დავაინტერესებთ ლიტვიდან და სხვა სახელმწიფოებიდან. საქართველოში ბიზნესი ხელშეუხებელია. არის ბიზნესმეგობრული გარემო. გვაქვს ზრდის შესანიშნავი დინამიკა და უზარმაზარი პოტენციალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ენერგეტიკა, წარმოება, ლოგისტიკა, ტრანსპორტი, აგრეთვე უძრავი ქონება და ტურიზმი.

გარდა ამისა, ბოლო დროს შეიმჩნევა ტენდენცია, რომ მწარმოებლები, რომლებიც ეძებენ უსაფრთხო და ხელსაყრელ ბიზნესგარემოს, საწარმოების დაარსებას საქართველოში ამჯობინებენ იმის გამო, რომ მათ შეუძლიათ გამოიყენონ ჩვენი დიდი სატრანზიტო პოტენციალი რეგიონში პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის საბაჟო ტარიფების გარეშე“.

რაც შეეხება უშუალოდ ლიტვას, პრემიერის თქმით, მასთან, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მთავრობის პრიორიტეტებს შორის.

„ჩვენ მივესალმებით ლიტველ ინვესტორებს, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოში ინვესტიციის ჩადებით. ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მათ თავი იგრძნონ როგორც საკუთარ სახლში“, — აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი

ბიზნესფორუმზე სიტყვით გამოსვლისას მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ევროპა ქართველი ხალხის არჩევანია.

„საქართველოში არსებული ხელსაყრელი პირობები ბიზნესის საწარმოებლად, აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის მტკიცე რეგიონალური სავაჭრო ურთიერთობები და მისი მდებარეობა ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე, უნდა გახდეს ინტენსიური ეკონომიკური ზრდის და საერთაშორისო ინვესტიციების ხელშემწყობი.

ამასთან, საქართველოს განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. ჩვენი ურყევი გადაწყვეტილება და ქართველი ხალხის არჩევანია, დავუახლოვდეთ ევროპას და გავხდეთ დიდი ევროპული ოჯახის წევრი. ეს პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოს მიზანმიმართულ ეკონომიკურ და დემოკრატიულ ტრანსფორმაციასთან. ჩვენ ყოველთვის ვამბობთ და მინდა, გავიმეორო, რომ შარშან ხელი მოვაწერეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, ასევე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე შეთანხმებას, რაც ისტორიული დოკუმენტია. ეს არის ჩვენი სამოქმედო გეგმა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანა მომდევნო 10 წლის განმავლობაში და შემდეგაც. ეს არის ჩვენი ქვეყნის ევროპეიზაციის და მოდერნიზაციის გეგმა. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, მსოფლიოს ბაზრებსა და გლობალური მიწოდების ქსელებში ინტეგრაციას. ამასთან ერთად, ეს ახალი პერსპექტივებით უზრუნველყოფს საქართველოსა და იმ ბიზნესმენებს, რომლებიც საქმიანობენ ჩვენს ქვეყანაში. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მისი ხელსაყრელი მდებარეობიდან გამომდინარე 900-მილიონიანი მომხმარებლის ბაზარი გაეხსნა. მიმაჩნია, რომ ეს არის კიდევ ერთი ახალი შესაძლებლობა, საქართველო გამოვიყენოთ როგორც ჰაბი და აქ განვითარდეს სხვადასხვა სექტორი“.

ირაკლი ღარიბაშვილმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის მადლობის წერილი მიიღო

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრის ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის მადლობის წერილი მიიღო.

„ღრმად პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, — ნათქვამია მასში, — მინდა, გულითადი მადლობა გადაგიხადოთ ჩვენი ინტენსიური საუბრისათვის თბილისში ჩემი ყოფნის დროს. ეს ვიზიტი იყო ჩვენს ქვეყნებს შორის უნაკლო მეგობრული ურთიერთობების გამოხატულება და პირადად ჩემთვის ძალიან სასარგებლო.

გარდა ამისა, თქვენი შეფასება აღმოსავლეთ უკრაინაში არსებული სიტუაციისა, განსაკუთრებით რუსეთის ეკონომიკასა და უკრაინაში მთავრობის შემადგენლობასთან დაკავშირებით, ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო და ძალიან დამეხმარა შემდგომი კვირების განმავლობაში მდგომარეობის შეფასებაში.

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ სწორედ ამ დროს კიდევ ერთხელ გამოგეხატა სოლიდარობა თქვენი ქვეყნის მიმართ. მადლობელი ვარ, რომ სოლიდარობის ეს გამოხატულება ასეთი კმაყოფილებით იქნა მიღებული.

თქვენთან საუბრისას ჩემთვის კიდევ ერთხელ გახდა ნათელი ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების მნიშვნელობა. ამიტომ, დაბრუნებისთანავე ჩემს თანამშრომლებს ვთხოვე, კიდევ უფრო მეტი მონდომებით მიდგომოდნენ ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხს“.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ მომავალშიც არ დაიშურებს ძალისხმევას, რათა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები საქართველოსთან ევროკავშირის ფარგლებშიც კიდევ უფრო განვითარდეს და იმედოვნებს, რომ მომავალი წლები ორი ქვეყნის ურთიერთობებში ახალი იმპულსების მომცემი იქნება.

◎ ინფორმაცია

კახა კალაძე პარტიაში პრობლემებს აღასტურებს

— პარტიაში პრობლემები ნამდვილად არსებობს, — განაცხადა „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ. „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პარტიის აღმასრულებელ მდივნად ირაკლი კობახიძის დანიშვნის შემდეგ.

მისივე თქმით, პარტია 2012 წლიდან მოყოლებული საარჩევნო პროცესში იმყოფება და მისი ფუნდამენტური გაძლიერება ვერ მოხერხდა.

„დღეს პარტიას ჰყავს ახალი აღმასრულებელი მდივანი, ნამდვი-

ლად გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ვიმუშაოთ, ფუნდამენტურად გავაძლიეროთ პარტია, რომელიც იქნება იდეოლოგიაზე დაფუძნებული. ჩვენ ვიცით, როგორ შეიქმნა პარტია „ქართული ოცნება“. ბატონი ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ გაერთიანდა ფაქტობრივად სრულიად საქართველო ერთი მოტივით, რომ ჩვენ ჩამოგვეშორებინა ნაციონალური მოძრაობა, მოგვეგო საპარლამენტი არჩევნები და ეს ნამდვილად მოვახერხეთ. პარტიის იდეოლოგიურად გაძლიერება და იდეოლოგიურად ჩამოყალიბება ვერ ხერხდებოდა. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამას ახლა ნამდვილად მოვახერხებთ. თუმცა, ძალიან ბევრია სამუშაო ამ მიმართულებით. ძალიან ბევრი პრობლემაა რეგიონებში, თუმცა, პრობლემები დაძლევადია და გაძლევთ პირობას, რომ ჩვენ ამ ყველაფერს განვახორციელებთ ჩვენს გუნდთან ერთად“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე პარტიის გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ მედიას აღნიშნულ პოსტზე ირაკლი კობახიძე წარუდგინა.

◎ კანონმდებლობა

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა თუ საჭირო ცვლილებები?

საქართველო ტერორიზმს კანონმდებლობის გამკაცრებით უპასუხებს

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობას ტერორიზმთან დაკავშირებით ახალი ნორმები ემატება. სსკ-ში დაგეგმილი ცვლილებები პარლამენტში უკვე ინიციირებულია.

დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით, საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობასთან დაკავშირებულ მუხლს ახალი პუნქტი ემატება, რომლის შესაბამისად, დასჯადი ქმედება ხდება ტერორისტული საქმიანობის განხორციელების, მომზადების, ან ამგვარ საქმიანობაში, ისევე როგორც ტერორისტულ წვრთნაში, მონაწილეობის მიღების მიზნით უცხო სახელმწიფოში გამგზავრება, რაც 6-დან 9-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ამავე კანონით, 5-დან 10-წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისთვის პირის გადაბირება. ტერორისტული საქმიანობის საჯაროდ „მხარდაჭერაც“ დასჯადი ხდება. განისაზღვრება, რომ საჯაროდ მოწოდება შეესაძლებელია განხორციელდეს ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის რომელიმე სხვა საშუალებით.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით დასჯადი ხდება ქვეყნის კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის დაფინანსება და მატერიალური მხარდაჭერა. პროექტის თანახმად, ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დაფინანსება ან სხვაგვარი მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას თავისუფლების აღკვეთით 8-დან 14-წლამდე, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ან არაერთგზის — პასუხისმგებლობას 17-დან 20 წლამდე ვადიანი პატიმრობით ისჯება.

უშიშროების ყოფილი მინისტრი ანზორ მაისურაძე თვლის, რომ აუცილებელია ტერორიზმთან დაკავშირებით ახალი ნორმების ამოქმედება და აუცილებელია, არსებობდეს ტერორიზმთან ბრძოლის პრევენცია.

„თუ წინასწარ იქნება ინფორმაცია, დანაშაულის აღკვეთაც შესაძლებელია. იმისათვის, რომ ეს მოხდეს, უნდა გვყავდნენ კვალიფიციური თანამშრომლები, რომლებიც შეძლებენ ტერორიზმთან ბრძოლას. მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, რომ ოპერატიული საშუალებებით თავის დროზე მიიღონ ინფორმაცია, რათა არ მოხდეს ტერორიზმი. უნდა აღდგეს ის სამსახური, რომელსაც ევალება წინასწარ აგენტურული, ოპერატიული გზით ინფორმაციის მიღება. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ტერორიზმის მხარდაჭერა უნდა იყოს დასჯადი, რადგან, თუ ტერორიზმს უჭერ მხარს, ტერორისტი ხარ და ციხეში უნდა წახვიდე“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ანზორ მაისურაძე.

იურისტი ლევან ალაფიშვილი თვლის, რომ დაგეგმილი ცვლილებები ფრთხილად გადასაწყვეტი საკითხია, რადგან, საქართველოს საპატრიარქოდან და სხვადასხვა რელიგიური კონფესიებიდან პარლამენტში ინიციირებულ კანონპროექტს, რომლის მიხედვით სისხლის სამართლის კანონმდებლობას ტერორიზმთან დაკავშირებით ახალი ნორმები ემატება, დადებითი გამოხმაურება არ აქვს.

მისივე განცხადებით, სახიფათო შეიძლება იყოს ისეთი ტერმინები, რომლებიც სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და შესაძლებელია, თუნდაც, შეცდომის შემთხვევაში, სავალალო შედეგამდე მივიდეთ.

„მაგალითად, რას ნიშნავს იგივე „შუღლის გაღვივება“, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია? მეორე ჩამონათვალი გახლავთ ასეთი — „და სხვა“, — ვინ უნდა განსაზღვროს რა არის „და სხვა“? ასეთი ტიპის დაუმუშავებელი კანონპროექტები თავისთავად არის ძალიან ცუდი ფაქტი. რამ წარმოშვა ამ კანონპროექტის არსი, არ ვიცი.

რა არის მთავარი პრობლემა, რის მოსაწესრიგებლად კანონის მიღება გახდა აუცილებელი, ეს უნდა წარმოაჩინოს ხელისუფლებამ. დღეს არსებული მექანიზმები არ არის საკმარისი? ამ ყველაფერზე დამაჯერებელ პასუხს თუ არ გასცემს ხელისუფლება, ასეთ შეთხვევაში, სწორი იქნება ის წუხილი, რომ ეს არის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისკენ გადადგმული ნაბიჯი“, — აცხადებს ლევან ალაფიშვილი.

მარიამ ლაბაძე

◎ სავალუტო კურსი

რა აბარბაცებს ლარს?

შარშან წლის მიწურულს ლარის გაუფასურებამ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, თუმცა, ახალი წლის დადგომისთვის და მერე კიდევ დაახლოებით ერთი კვირის მანძილზე კურსის სტაბილურობამ აჟიოტაჟი ერთგვარად ჩააცხრო. მაგრამ, იანვრის პირველი დეკადის ბოლოს ლარმა დოლართან მიმართებაში კვლავ განაგრძო გაუფასურება, რა პროცესი დღესდღეობითაც, მართალია ნელი ტემპით, მაგრამ განგაშის მომგვრელი სიუჯიუტით ისევ გრძელდება და, როგორც ექსპერტები წინასწარმეტყველებენ, ცოტა ხანში თუ ერთი დოლარი 2,10-2,15 ლარი ეღირება, ეს კარგი შედეგი იქნება. თუმცა, აქვე იმასაც აყოლებენ, რომ, თუ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა საფუძვლიანად არ შეიცვალა, არც ეს იქნება ლარის გაიაფების მიჯნა.

ლარის კურსის ვარდნის პროცესის თვალსაჩინოებისთვის შეიძლება, ითქვას, რომ იანვრის დამლევისთვის, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქართული ეროვნული ვალუტა დოლარის მიმართ 10 პროცენტზე მეტად გაუარესდა.

პოლიტიკურ მოვლენათა კალეიდოსკოპში, ფინანსურ-ეკონომიკური პროცესების ჩახლართულობაში ჯეროვნად გაურკვეველი მოსახლეობისთვის დოლარის მიმართ ლარის „კუნტრუში“ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მისი მსყიდველობითი ძალა კვირიდან კვირამდე მცირდება. იმათ, ვისაც უცხოეთიდან, უმეტესწილად კი რუსეთიდან, ახლობლები, ნათესავები ფულს უგზავნიდნენ და ახლა უწინდელივით ვეღარ უგზავნიან, ცუდ დღეში არიან, ხელფასები, პენსიები და შემწეობები კი, ხელისუფლების მადლით, კვლავაც ძველ, გასაცოდავებულ ნიშნულზეა.

მარტივად თუ ვიტყვით, ქვეყანაში კერძო სავალუტო გზავნილების შემცირება რუსეთიდან, ამ ქვეყნის მიმართ დასავლეთის სანქციების დაწესების შედეგად შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, იქიდან არალეგალ ემიგრანტთა დეპორტირებით და რუბლის ბოლოდროინდელი 50-პროცენტიანი გაუფასურებითაა გამოწვეული. არსებითად კი, **ლარის გაცვლითი კურსის ნიშნული უცხოურ ვალუტაზე (ამ შემთხვევაში, ძირითადად დოლარსა და ევროზე) მოთხოვნის დონეზე, ანუ სავალუტო ბაზარზე მათ თანაფართობაზეა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე ვალუტის მასა მატულობს, ლარით მისი ფასი, ბუნებრივია, იკლებს, ესე იგი, დოლარი უფასურდება და, ცხადია, პირიქით — თუკი დოლარის გარკვეული დეფიციტი იქმნება, მისი ფასი იზრდება, მაშასადამე, იგი მყარდება.**

ლარის გაცვლით კურსზე კიდევ მრავალი სხვა ფაქტორი მოქმედებს, რომელთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი მთავრობის **ფისკალური პოლიტიკაა.** მართალია, მრავალი ექსპერტი ლარის ბოლოდროინდელ გაუფასურების უმთავრეს მიზეზად სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების არათანაბარ ხარჯვას ასახელებს, მაგრამ ფაქტობრივი მონაცემებით, ეს არგუმენტი მაინცდამაინც სარწმუნო არ ჩანს. საქმე ისაა, რომ შარშან დეკემბრის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების 14 პროცენტი დაიხარჯა, რაც, მართალია, საშუალო წლიურზე მეტი კი არის, თუმცა კი, წინა წლებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იყო და ასეთი მძიმე შედეგი არ მოჰყოლია: კერძოდ, 2011 წელს დეკემბერში საბიუჯეტო სახსრების 17, ხოლო 2013 წელს — 13 პროცენტი დაიხარჯა.

ლარის გაცვლით კურსზე ზემოქმედების სხვა ფაქტორებიდან გამოსაყოფია ქვეყანაში ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული **ფულად საკრედიტო და მონეტარული პოლიტიკა**. რაც შეეხება პირველ მათგანს, ბოლო ორი (2013-14) წლის მანძილზე, ბანკთაშორის სავალუტო აუქციონებზე ეროვნულმა ბანკმა მთლიანად 775 მილიონი დოლარი შეიძინა, რომელთაგან შემდგომ მხოლოდ 550 მილიონი გაყიდა. ეს კი, არსებითად, იმას ნიშნავს, რომ მან მიმოქცევიდან 225 მილიონი დოლარი ამოიღო, რამაც ამ ვალუტის ერთგვარ გამყარებას შეუწყო ხელი, ეს კი, სხვა თანაბარ პირობებში, ლარის გაუფასურებას უწყობს ხელს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბოლო წლების დეფლაციური (ანუ ლარის ზედმეტად გაძლიერების) პროცესების დასაძლევად, ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა მაქსიმალურად შეარბილა (დღესდღეობით იგი 4-პროცენტიან ნიშნულზეა), რითაც ეკონომიკისთვის კრედიტების გაცემას შეუწყო ხელი. აღნიშნულის შედეგად, ბოლო ორი წლის მანძილზე კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკაზე ლარით გაცემული სესხების მოცულობის ზრდამ 70 პროცენტს გადააჭარბა, თუმცა კი, ამავე პერიოდში დოლარებით გაცემული კრედიტების მოცულობამ მხოლოდ 20 პროცენტით მოიმატა. შედეგად, ცხადია, სავალუტო ბაზარზე ლარი დოლარზე გაცილებით მეტი აღმოჩნდა, რამაც თავისი წვლილი შეიტანა ლარის კურსი ვარდნაში.

ეროვნული ვალუტის ფასი კიდევ ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია **ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა**: რაც მეტად ჭარბობს მეორე პირველს, ქვეყნიდან მით უფრო მეტი ვალუტა გაედინება შიდა ბაზარზე მისი დეფიციტი და, შესაბამისად, ფასიც მატულობს. შარშანდელი წინასწარი მონაცემებით, ექსპორტის მოცულობამ 2 პროცენტით დაიკლო, ხოლო იმპორტისამ 7 პროცენტით მოიმატა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აბსოლუტურ რიცხვებში სხვაობა გაცილებით მეტია, რადგან დისბალანსი ექსპორტ-იმპორტს შორის წინა წლებში იმპორტის სასარგებლოდ იყო. ბუნებრივია, რომ ლარის კურსის ვარდნაზე ამ ფაქტორმაც თავისი უარყოფითი როლი შეასრულა.

იმის გათვალისწინებით, რომ საზღვარგარეთიდან მიღებული სავალუტო შემოსავალი ეროვნულ ეკონომიკაში საგრძნობ როლს ასრულებს, შარშან მიღებული სახსრები კი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 60 მილიონი დოლარით შემცირდა, ლარის გაცვლითი კურსის მასის შემცირებაში ამანაც თავისი ნეგატიური როლი შეასრულა.

ქვეყნიდან ვალუტის გადინების და, შესაბამისად, შიდა ბაზარზე დოლარის მასის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია ასევე **საგარეო ვალის მომსახურება,** თუმცა კი, ამ მხრივ, შარშან მისი მოცულობა გაიზარდა კიდეც, შესაბამისად, ამ მხრივ ქვეყანაში უფრო მეტი ვალუტა შემოვიდა ვიდრე გავიდა, რამაც ლარის გამყარებას უფრო შეუწყო ხელი.

ლარის ბოლოდროინდელ „ბარბაცში“ თავისი წვლილი შეაქვს, რაღა თქმა უნდა, **გლობალურ ფაქტორებსაც**. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ „რბილი“ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების შედეგად ეკონომიკური მაჩვენებლები გააუმჯობესა, ახლა კი ამ პოლიტიკას ნელ-ნელა ამკაცრებს, ანუ საპროცენტო განაკვეთის თამასას თანდათანობით უმატებს, რის შედეგად დოლარი მყარდება. ევროპაში კი, ამერიკასთან შედარებით, ამ მხრივ მდგომარეობა გაცილებით არასახარბიელოა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ლიბერალიზაციით ეკონომიკის წახალისების პროცესი იქ ამჟამად მიმდინარეობს. ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო ბაზარზე დოლარის ბოლოდროინდელი გამყარება ამ ორი ურთიერთსაპირისპირო პროცესის შედეგია, რასაც მის მიმართ ევროს გაუფასურებაც მოჰყვა. ამასთან, როგორც ვხედავთ, მართალია დოლარის მიმართ ლარი გაუფასურდა, მაგრამ ევროს მიმართ, პირიქით, გამყარდა.

გარდა ამისა, ლარის „ჯანმრთელობა“ ასევე დიდადაა დამოკიდებული საქართველოს უდიდეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, მათ შორის, თურქეთში, რუსეთსა და უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებზე. ამჟამად ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თურქული ლირაც, რუსეთული რუბლიც და უკრაინული გრივნაც დოლარის მიმართ გაუფასურდა, ამის გამო ამ ქვეყნებიდან საქართველოში ექსპორტი უფრო მეტად წახალისდა, ვიდრე ჩვენი ექსპორტი, რის შედეგად მათთან ისედაც უარყოფითი საგარეო-სავაჭრო ბალანსი კიდევ უფრო მეტად გაუარესდა. ვალუტაც, ცხადია, გაცილებით მეტი გავიდა.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ლარის ახლანდელ გაუფასურებას საკმაოდ ბევრი, თანაც ერთმანეთისგან თითქოს განსხვავებული მიზეზი აქვს, თუმცა კი, ისინი, ცხადია, გარკვეულწილად ერთმანეთზე არიან გადაბმულნი. მაგრამ, დამოუკიდებელ ექსპერტთა აზრით, ლარის კურსის ვარდნას, უფრო სწორად კი მის დონეს, ეს მიზეზები ბოლომდე მაინც ვერ ხსნის, ამ საკითხში ბევრი რამ სხვა დონეზე განმარტებას საჭიროებს. სპეციალისტები ხაზს უსვამენ იმას, რომ საკითხში ბოლომდე გარკვევის შესაძლებლობას **ქვეყნის ფინანსურ სისტემაში ლარის კურსის დადგენის არსებული პრაქტიკა განაპირობებს, რომელიც კომერციულ ბანკებს შორის დადებულ გარიგებებს განსაზღვრავს. მათი აზრით, ეს გარემოება დიდი სპეკულაციური რისკების მატარებელია.** ასეთია დღესდღეობით არსებული რეალობა, დოლართან მიმართებაში ლარი ნელ-ნელა, მაგრამ გარკვეულწილად „მიზანდასახულად“ მიიწევს ქვევით, ამდენად, თუ რა ზღვრამდე მივალთ და რამდენად რეალურია ამ ტენდენციის მდგრადობა და ტემპი, ეს ბევრ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული.

ოთარ ტურაბელიძე

◎ კაპალ გულში

წუხილოჯანი თუხაზები

● **კოჰაბიტაციამ რა ჰქმნაო და — ოცნებები შთანთქაო. (ანდაზა).**

● **როგორც კი „ოცნებამ“ ნაცებთან კოჰაბიტაცია გამოაცხადა“, იმწამსვე ნაცმოძრაობამ დაამთავრა მათთან კოჰაბიტაცია, იქით გადავიდა შეტევაზე და ლოგინში ავადმყოფის მკურნალობის ხალხური აქტიც ვერ შედგა.**

ეხლა უყურეთ შორითაი! — „თუში მეცხვარე“.

● **საქართველოში თანამდებობებზე დანიშვნის ძირითადი კრიტერიუმი: — მამამისს ვიცნობდი, კაი კაცი იყო.**

● **გომელაური იქნება ნაციონალების დასასრულის დასაწყისი!**

● **საქართველოს მთავრობა**/Government of Georgia **მიხედეთ ამ უთოფო ყაჩაღ „ჯაბა კრედიტებს“, „ვივუსებს“, „ემა კრედიტებს“, „კრედიტონჯიებს“ და ა.შ... მიიღეთ კანონი, რომლის მიხედვითაც მიკროსაფინანსო (და არა მარტო) ორგანიზაციების საპროცენტო განაკვეთს დაარეგულირებს სახელმწიფო და არა ეს თაღლითები! წინააღმდეგ შემთხვევაში გაგვიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ ძაااალიან მომგებიან ბიზნესს ხელისუფლებაში მფარველობენ.**

● **ერთი თარგამაძე შეჭამს ბიგმაკს და მეორე თქვენ მობრუნდებით!**

● **უცნაურია, რომ თავისუფალი დემოკრატებისა და დაჭერილი და დასაჭერი ავტოკრატების მსოფლმხედველობა, ფასეულობები და კონკრეტული მოსაზრებები უმეტეს შემთხვევაში თანხვედრია.**

● **რამდენი წელია, გაიძახიან: „ეს არის ქართველი ხალხის არჩევანი!“**

რამდენი წელია, ქართველ ხალხს არავინ არაფერს ეკითხება.

● **ჩემმა კატამ ტელევიზორში საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი დაინახა და მკითხა — ნეტავ საზღვარგარეთ თუ ხვდებიან, რომ ეს სხვა ქალბატონიაო?**

● **სად უნდა დავარეგისტრირო არასამთავრობო ტერორისტული ორგანიზაცია?**

● **ფარული ჩანაწერების (ფაილების) განადგურებას რომ ითხოვდნენ, არასდროს არავინ არავის არ უნდა უსმინოსო, რომ გაიძახოდნენ და თავის ქკუაზე გატარებდნენ, ის ხალხი (კოჟორიძე, გიგაური, ლომჯარია, ტუღუში...) გამოგიძიებთ ახლა ტერორისტულ აქტებს და რთულ საქმეებს — სწრაფად, იაფად და ხარისხიანად!**

● **კვესიტაძეს თამაზაშვილების მიერ ჩადენილი დანაშაულები რომ შემოაკლდება, თვითონ გავა „საქმეზე“ და შოთას „ატასაზე“ დაიყენებს...**

● **კვირას, 6-საათიანი „კურიერის“ შემდეგ, „რუსთავი-2-ზე“ გავიდა გადაცემა „ექიმები“, რომლის სარეკლამო სლოგანი იყო „ერთად ჩავუღრმავდეთ ბუასილს“...**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ სოფელი

კოოპერატივები გრანტით დაჯილდოვეს

ევროპული სამეზობლო პროგრამის „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის“ (NPRD) ფარგლებში 35 მცირე ფერმერული კოოპერატივი გრანტით დაჯილდოვდა. ფერმერებს მატერიალური აქტივების სახით ტრაქტორები, სატვირთო მანქანები, სახნავ-სათესი მოწყობილობები და სხვა აღჭურვილობა გადაეცათ.

ღონისძიებას ქუთაისში აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე ბორის იაროშევიჩი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნოდარ კერესელიძე, ევროკავშირის ატაშე სურსათის უვნებლობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში ხუან ეჩანოვე და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი მიშელაძე ესწრებოდნენ.

NPRD-ის საგრანტო კონკურსში მონაწილეობა მიიღო 700-ზე მეტმა მცირე ფერმერულმა ჯგუფმა, რომელთაგან მეორე ტურისთვის შეირჩა 200-ზე მეტი ჯგუფი. შერჩეულმა ფერმერულმა ჯგუფებმა ტრენინგები ბიზნეს-გეგმის შედგენასა და კოოპერატივების ორგანიზებაში წარმატებით გაიარეს. საგრანტო თემა მიზნად ისახავდა საქართველოს სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას სხვადასხვა დონეზე. ევროპის სამეზობლო პროგრამა საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის ევროკავშირის მიერ 52 მილიონი ევროთი ფინანსდება. 2012 წლის დეკემბერში ხელმოწერილი პროგრამა მიზნად ისახავს საკვების წარმოების ხელშეწყობასა და სოფლად არსებული სიღარიბის აღმოფხვრას. გრანტების მინიჭების გარდა NPRD ასევე ახორციელებს საქართველოს მთავრობის პირდაპირ ფინანსურ მხარდაჭერას სოფლის მეურნეობის სფეროს სტრატეგიის განხორციელებაში და სწორედ ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში 2013 წელს მიღებულ იქნა კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ.

ინტერპრესი

ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲐᲛᲓᲔ ᲗᲣ ᲛᲝᲛᲬᲘᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲕᲡᲐᲠᲝᲑᲗ ᲐᲓᲠᲔ...

ᲓᲝᲓᲝ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ მიერ კომედიურ მიუზიკლში განსახიერებული პოლიცმეისტერის ეს ფრაზა თუ შეეფერება იმ ტრაგედიას, რომელიც 20 იანვარს დატრიალდა: **მოკლული შვილის საფლავს „მომჩივანი“ მამაც ზედ დააკლეს!**

თუმცაღა, იური ვაზაგაშვილის 8-წლიან ბრძოლას სამართლის ძიებისათვის, ბანალური მომჩივანობა უწოდო, როგორც მინიმუმ, უხერხული მგონია და ამიტომაც ჩავსვი ზემოთ ეს სიტყვა წინწკლებში.

ისევე, როგორც ირინე ენუქიძეს მხოლოდ საკუთარი შვილი არასოდეს უხსენებია და სანდროსთან ერთად ბუტა რობაქიძის, გიორგი გამცემლიძის მკვლელების დასჯისათვისაც იღვწოდა, ასევე იური ვაზაგაშვილიც ჩვენი შვილების სიცოცხლის გადასარჩენადაც ითხოვდა საკუთარი შვილის მკვლელების დასჯას;

ისევე, როგორც სანდრო გირგვლიანის დედა, დედაშვილობის სამაგალითოდ აღსრულების გამო იქცა ზოგადად XXI საუკუნის ქართველი დედის სიმბოლოდ, ასევე, მამაშვილობის ბოლომდე აღსრულების გამო იური ვაზაგაშვილი გახდა ქართველი მამის, მამაშვილობის სიმბოლო;

დედაშვილობა და მამაშვილობა, აქედან ზოგადად ოჯახი, ის ფენომენია, რომელიც განსაკუთრებული სიმძაფრით აღიქმება კავკასიაში და მით უმეტეს საქართველოში...

ჰოდა, დედაც და მამაც, საკუთარი შვილების საფლავებს ზედ დააკლეს!

დიახ, არ შემშლია — იური ვაზაგაშვილის მუხანათურმა მკვლელობამ თითქმის 100%-ით დამარწმუნა იმ მოარული ხმების ნამდვილობაში, რომ ნაცების ფაშისტური რეჟიმის სპეცსამსახურებმა ირინე ენუქიძე საკუთარი შვილის საფლავზე მოწამლეს!

თუმცა, ჩემი რწმენის პროცენტული შემადგენელი უადგილო ლირიკაა, რადგანაც მკაცრი რეალობა იმაშია, რომ გირგვლიანებისა და ვაზაგაშვილების ოჯახები პრაქტიკულად ამოწყვიტეს!..

გახსოვთ, ამას წინათ რა ერთხმად აღნავლდნენ საქართველოში „მოღვაწე“ ამერიკის შნირები — შარლები ვართო (რის შესახებაც ჩემს წინა სტატიაში ვისაუბრეთ) დღეს, მე ვიტყოდი, დასავლეთის ნეოლიბერალურ მეხუთე კოლონას საქართველოში ე.წ. არასამთავრობოებს შნირების სახით, ასევე ერთხმად ჩაუწყვეტიათ ხმა — არავინ იძახის იური ვარ, ვაზაგაშვილიო...

კინოფილმიდან ფრაზა შევარჩიე წინამდებარე წერილის სათაურად და და კიდევ ერთი ფილმი გამახსენა ამ შემზარავმა ტერაქტმა:

ეს რამ მოაფიქრებინაო?

ამოიგმინა საკუთარი შვილის მიერ სასიკვდილოდ დაჭრილმა დათა თუთაშხიამ და იქვე საკუთარი აზრი ამეკვიატა:

მოფიქრებით, რა არის ისეთი სიბინძურე, რომ სატანის მიმდევრები ვერ მოიფიქრებენ და არ იკადრებენ, მაგრამ, ეს როგორ გაგვიბედეს ქართველ საზოგადოებას?

თანაც, ცინიზმი ნახეთ რა — ყველაფერი ადამიანურ ინსტიქტებზე, გრძნობებზე გათვალეს ამ არაადამიანმა მხეცებმა:

იმავე სასაფლაოზე, სადაც შენი შვილია დაკრძალული, სხვის დაკრძალვაზე მისული რომელი მამა არ მოინახულებს საკუთარი შვილის საფლავს?

ზემოთ, ქართველი საზოგადოება-მეთქი და ზედმეტი ხომ არ მომივიდა? — საერთოდ ვართ საზოგადოება და თანაც ქართველი?

9 წლის მანძილზე ასობით მკვლელობა, კაცების გაუპატიურება ციხეებში და მერე რა?..

(აღარაფერს ვამბობ სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის დროს ათიათასობით ბიზნესების დაწიოკებასა თუ წართმევაზე).

ვენდეტა, იტალიური მაფიის მოგონილია, მაგრამ ზოგადად კავკასიელებს და კონკრეტულად ქართველებს, იტალიელებზე ბევრად ადრე, ქართული ვენდეტა, სისხლის აღების ტრადიცია გვქონდა.

ყველა ნორმალურ ადამიანს, შურისძიების გრძნობა დაბადებიდან რომ აქვს, ეს სრულიად ბუნებრივი და გასაგებია!

იტალიური თუ ქართული ვენდეტა, შურისძიებასთან ერთად ის პრევენციული ინსტრუმენტიც იყო, რომლის შიშითაც კაცისკვლას ასე იოლად, როგორც დღეს, ვერვინ ბედავდა!

ეს ადრე, იმ „ბნელ დროს“ ხდებოდა. ჩვენს „ნათელ დღევანდელობაში“ თანამედროვე სახელმწიფოს როლი კი სწორედ იმაშია, რომ კანონის ფარგლებში აღასრულოს მავანი შეურაცხყოფილის თუ შვილმკვდარი მამის შურისძიების ბუნებრივი სურვილი.

აი, ეს არის სამართლიანობა და ამას ითხოვდა და სამწუხაროდ, დღესაც უშედეგოდ ითხოვს ქართველი ხალხი მეოცნებე ხელისუფლებისგან!

მაგრამ, როდესაც ამის მაგივრად დაზარალებული, შეურაცხყოფილი მოქალაქე ხედავს, რომ სახელმწიფო არა თუ დამსახურებულად სჯის დამნაშავეს, არამედ პირიქით, ხელს აფარებს და სამსახურში აწინაურებს კიდეც მკვლელებს, ასეთ დროს, რომ ვინმემ თავად აღასრულოს სამართალი, გაემტყუნება?

რაღა შორს წავიდეთ, იმის მაგივრად, რომ სვანეთის ამომგდები ნაძირალა გია ბარამიძე ციხეში იჯდეს, პარლამენტის ვიცე-სპიკერის სავარძელში ზის, ხოლო სვანეთის დამცველი მამულიშვილი ემზარ კვიციანი ციხეშია!

თავად განსაჯეთ და თუ გნებავთ განსაჯეთ იმისთვის, ვისაც არ მოგეწონებათ, რასაც ახლა ვიტყვი...

ქართველთა კავკასიური მენტალიტეტიდან და ნაცების კრიმინალური ბანდის მიერ ჩადენილი სასტიკი, ცინიკური დანაშაულობებიდან გამომდინარე, უბრალოდ საკვირველია, რომ ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, ვინმეს პირადად მიეზღო სამაგიერო მისი თუ მისი ახლობლების წამების, მკვლელობის, გაუპატიურებისთვის, თორემ, XXI საუკუნეში ქართული ვენდეტის ტრადიციის აღდგენისკენ არავის მოვუწოდებ, მაგრამ...

მეც შვილმკვდარი მამა, უკურნებალ სენს ვენდეტას ვერ ჩავუტარებ, მაგრამ ჩემი დამაქცევარი ვინმე ხორციელი ყოფილიყო, თავად გავუსწორებდი ანგარიშს. მით უმეტეს იმ შემთხვევაში თუ კანონით სამართალს ვერ ვიპოვიდი!

ამ „პოეტური“ გადახვევისთვის ვისაც გნებავთ, განსაჯეთ და ვისაც გნებავთ, განმსაჯეთ როგორც იტყვიან — აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს...

ახლა კი ჩვენი წერილის მკაცრ პროზას დავუბრუნდეთ...

იური ვაზაგაშვილის საზარელი მკვლელობის გამო, სრულიად საქართველოა შოკირებული, მაგრამ მოდით, ყველაფერზე თავიდან და გამოწვლილვით: როგორ მივედით აქამდე?

2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც ჯერ კიდევ არ ვიცოდით სიტყვა „კოჰაბიტაციის“,არა თუ შინაარსი, არესებობაც კი, „ქართული ოცნება“ გაურიგდა ნაცბანდას და 40 % საპარლამენტო მანდატებისა დაუმტკიცა, როდესაც ერთნიშნა ციფრს არ სცილდებოდა ნაცების რეალური შედეგი!

ამის გამო მივიღეთ ქვეყნის, მე ვიტყოდი, ქართველობის ამომგდები კოჰაბიტაცია, რომ,ლიც არის ჩვენი ყველა საშინაო თუ საგარეო უბედურებების სათავე!

„ქართულ ოცნებას“ (წაიკითხე, ბიძინა ივანიშვილს) მაშინვე გამოუჩნდნენ დამცველები ე.წ. შემოქმედებით ინტელიგენციაში: ვაცალოთ, „ბიძინამ იცის“, აბა „რა ექნა?“ და ა.შ. რაც დღემდე გრძელდებოდა უკვე ღარიბაშვილის (წაიკითხე, ისევ ივანიშვილი) მიმართ.

„გრძელდებოდა“, ანუ ვნახოთ, იური ვაზაგაშვილის შემდეგაც ასე იქნება თუ, როგორც ბატონმა რეზო ამაშუკელმა თქვა ვიდეომიმართვაში, მართლაც ბოლო წვეთი აღმოჩნდება და არა მხოლოდ ბატონი რეზოსთვის?

რა თქმა უნდა, განვლილ პერიოდში ეკონომიკურ სასწაულს არავინ ელოდა და ამიტომ ახლა იმ რამე-რუმეებს შეგახსენებთ, რომელთაც ფინანსები კი არა, მხოლოდ ხელისუფლების კეთილი ნება, გნებავთ, უბრალოდ, ქართველობის განცდა სჭირდებოდა!

მაგალითად, რა გახდა ასეთი, რომ ამ ხნის მანძილზე ვერ მოხერხდა ნაცების მიერ ქალაქიდან გაპანღურებული დიდი დავით აღმაშენებლის მონუმენტის თავის ადგილზე დაბრუნება და იმ სამარცხვინო ველოსიპედის აღება?

(აღარაფერს ვიტყვი რიყის სიმახინჯე „ტრუბების“, საპატრიარქოს, ანჩისხატის, სიონის შეურაცხმყოფელი ოლვეისულტრა ხიდის თუ კაზინოს შესახებ)

მაგრამ, ისევ ვაცალოთ, ვაცალოთ და...

ბიძინა ივანიშვილმა დიდი ჭაბუას ორმოცზე უკადრებელი იკადრა და ახლა, ვისაც არ ეზარება, დაუსჯელად განაქიქებს ქართულ დედაეკლესიას და შეურაცხყოფს მის უწმინდესობას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს!

კვლავ ვაცალოთ, ვაცალოთ და ბიძინა ივანიშვილი „პორაჟენცულად“ გადადგა და ღარიბაშვილის მეთაურობით „კარგი“ და „ძალიან კარგი“ მინისტრებისა და კიდევ უფრო „უკეთესი“ პარლამენტის ამარა დატოვა ქვეყანა!

ანუ, ხელისუფალთა ამარა, რომელთაც პირველი ის გააკეთეს, რომ პრემია სახელფასო დანამატად მონათლეს და ნაცებივით (და უკვე მათთან ერთად) ისქელებენ ჯიბეებსა და კისრებს.

ნახეთ, რა ქართული მიხვრა-მოხვრა აქვს, როგორ დაუჩოქა პატრიარქსო და ა.შ. ხშირად მსმენია უკვე ღარიბაშვილის მეხოტბეთაგან.

ახლა, ღარიბაშვილს ვაცალეთ და ქართული მიხვრა-მოხვრის მქონემ, პატრიარქის მორჩილმა, მის წინაშე ეპატაჟურად დაჩოქილმა პრემიერმა:

ჩვენი პატრიარქი ბრძენია, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენ ჭკუაზე ვიმოქმედებთო და მომავალში საქართველოში ერთსქესიანი ქორწინებების გარანტირებულად დამკანონებელი ე.წ. ანტიდისკრიმინაციული აქტი, ზარ-ზეიმით მიიღეს!

და ბოლოს, საყდრისის უნიკალური, 5 -ათასწლოვანი ოქროსმომპოვებელი მაღაროს ვანდალური აფეთქება, რაც „ქართული მიხვრა-მოხვრის“ ღარიბაშვილის მიერ ამ ძეგლის მიმართ პრემიერის აუწონავ განცხადებას მოჰყვა!

ქართული ოცნების მთავარი დაპირების — სამართლიანობის ვერ თუ არ დამყარებასთან ერთად, ხელისუფლების მიერ ჩადენილი მსგავსი ჰუმანიტარული დანაშაულობები რომ არა, ქართველი კაცი უკეთესი მომავლის იმედით უდრტვინველად აიტანდა უკიდურეს სოციალურ-ეკონომიკურ უსამართლობას, გაჭირვებას.

მაგრამ, ვიმეორებ, როდესაც ხელისუფლება იმასაც არ აკეთებს, რასაც დიდი ფინანსური ინექციები არ სჭირდება, ვერ (წაიკითხე, არ) იძიებს ისეთ გახმაურებულ საქმეებს, როგორებიც გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, რობაქიძის მკვლელობები, ბარამიძის მიერ აფრასიძეების ოჯახის ვერტმფრენებიდან დაბომბვაა და სხვა მრავალი, რომ იტყვიან, სისხლი ყელში ამოვიდა და სხვა სოციალური უსამართლობებიც უფრო მძაფრად აღიქმება.

ამ ფონზე იური ვაზაგაშვილის ცინიზმით, სისასტიკით მკვლელობა, მართლაც ბოლო წვეთი უნდა აღმოჩნდეს ქართველი საზოგადოებისთვის, რადგანაც ამ აფეთქების, ტერაქტის მთავარი მიზანი, ჩემის აზრით, არა მხოლოდ იური ვაზაგაშვილის ლიკვიდაცია, არამედ საზოგადოების დაშინებაც იყო.

ანუ, 1 ოქტომბრის შემდეგ იმ ერთადერთი რეალური მონაპოვრის ნიველირება, რასაც საზოგადოებაში შიშის სინდრომის გაქრობა ჰქვია!

ახლა ყველა ამ ტერაქტის სასწრაფო გამოძიებას და დამნაშავეთა დაპატიმრებას ითხოვს, რაც არა მგონია, მოხდეს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ დანაშაულს ტერაქტის კი არა, რაც უდავოა, „დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის“ ბანალური კვალიფიკაცია მისცეს და უკვე ეს ფაქტი მეტყველებს ბევრ რამეზე.

ეს საქმე, რომ სწრაფად არ გაიხსნება (გაიხსნება კი საერთოდ?), ამაზე ის ტექსტიც მეტყველებს, რომლითაც შს მინისტრი გადადგა (წაიკითხე გადააყენეს):

რადგან ცხელ კვალზე ვერ მოხერხდა საქმის გახსნაო...

აქედან, ჭიკაიძის და სხვა ორის გადადგომა (წაიკითხე, გადაყენება), „ერთი ბარტყი გადმომიგდეს“ უფრო ჰგავს, ვიდრე „ინტელექტუალი“ მინისტრის რეალურ პასუხისმგებლობას, რასაც, რომ იტყვიან, არავინ ჭამს!

ჩემის აზრით, გამოძიებაზე უფრო ის არის მნიშვნელოვანი, რომ ცხონებული იური ვაზაგაშვილის „ეს განწირული სულისკვეთება“, უშედეგოდ არ დარჩეს...

ახლა ხშირად სვამენ კითხვას თუ ვის აწყობდა იური ვაზაგაშვილის ლიკვიდაცია.

რაზეც მეტ-ნაკლებად ლეგიტიმურ ვერსიებთან ერთად, ერთი აბსურდული ვერსიაც განიხილება — ეს ყველაფერი, თურმე, რუსეთის ინტერესებში ყოფილა?!

პირველად ეს სიბრძნე ქოცების დეპუტატმა სოსო სესიაშვილმა გააჟღერა. რასაც სიამოვნებით აჰყვნენ აშკარა თუ ზვიად ქორიძის მსგავსი ფარული ნაცები.

ამ უკანასკნელმა ტელეკომპანია „თრიალეთის“ თოქშოუში კოჰაბიტაცია ისე წარმოგვიდგინა, როგორც ლამის ზეციდან მოვლენილი წყალობა, ხოლო ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა (რასაც საქართველოს პატრიოტთა ალიანსი აპირებს 31 იანვრისთვის დაანონსებულ საპროტესტო აქციაზე), რუსეთის ინტერესების პირდაპირ გატარებად მონათლა!

ამ, რბილად რომ ვთქვათ, აშკარა დემაგოგიაზე, თქვენი მონამორჩილისგან, რომელიც იმ თოქშოუში ვმონაწილეობდი, საკადრისი პასუხი მიიღო ბატონმა ზვიადმაც და გადაცემის მონაწილე სხვა ნეოლიბერალმა ხლისტებმაც:

იური ვაზაგაშვილის ლიკვიდაცია, ნაცების და მხოლოდ ნაცების ინტერესებშია!!!

სანამდე ეს ჭირი შინ მთავარ ოპოზიციად ითვლება, ხოლო მათი პრეზიდენტყოფილი ევროპა-ამერიკას შორის დაწანწალებს და იქიდან მაოხრებელი გზირის სტატუსით მტრობს საქართველოს, მანამდე მოსვენება არ გვიწერია!



ამიტომ, იური ვაზაგაშვილის სიკვდილმა, ერთიანად უნდა დაამთავროს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობად წოდებული, ფაშისტური ნეოლიბერალური პარტიის ბოგინი საქართველოში და მათი უნამუსო პრეზიდენტყოფილი სააკაშვილიც ბორკილდადებული უნდა შევასახლოთ მისსავე აშენებულ გლდანის ციხეში!

სწორედ ეს იქნება ტერაქტის გამოძიებაც და იური ვაზაგაშვილის სულის ცხონებაც!

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲮᲔᲘᲫᲔ

ჟამიანობის ეპილოგი?

ჯადოსნური წრე ბრუნავს, ადამიანები შორიდან ცქერით კმაყოფილდებიან. წრის შიგნით მყოფნი ნეტარებენ ამქვეყნიური სიამეებით. **უფალო ხელისუფალნო! კარგია, რომ აგრძელებთ დასავლურ ორიენტაციას, მაგრამ ერთ მორიდებულ შეკითხვას დაგისვამთ (ნაცისტები ამ შეკითხვაზე არ მპასუხობდნენ), თქვენს ჭკუის მასწავლებელ ევროპელებს (ფრთიან ანგელოზებს რომ უწოდებთ) თუ უჩნდებათ ეჭვის დონეზე აზრი იმის შესახებ, რატომ არის დამლაგებლისა და პროფესორის პენსია თანაბარი? და თუ გეკითხებიან, რას პასუხობთ? ვიდრე ამ გათანაბრებას არ მოეღება ბოლო, ხომ ნათელია, რომ ევროპა მანამდე შორს იქნება.** ხელშეკრულების რატიფიკაცია დროებითი დამაყუჩებლის როლს შეასრულებს (ჩვენთვის). რიგითი ადამიანები დგანან იმედისა და უიმედობის საზღვარზე. ერის მთავარი საფიქრალი არის არჩევნები. ვირჩევთ იმედს, გვრჩება უიმედობა. კაცობრიობის ისტორია უიმედობის იმედად ქცევის ილუზიაა. ხელისუფლების სიბარიტული მიდრეკილება ყველა ეპოქის დაუძლეველ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც. საინფორმაციო საშუალებები ხანგრძლივად აჩვენებდნენ ხელისუფლების წარმომადგენელთა უზომოდ კმაყოფილ სახეებს, რომლებიც უსირცხვილოდ ულოცავდნენ დაბეჩავებულ მოსახლეობას პენსიების გაზრდას.

ნაცისტების დატრიალებული უბედურება კარგად არის ცნობილი, მაგრამ კიდევ უფრო დიდი უბედურება არის ის, რომ ახალი ხელისუფლებაც ხალხს, როგორც ბრბოს ისე უყურებს. **ანტიკური ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ბრძენი პითაგორა ამბობდა: „ცხოვრება არის თეატრი, რომელშიც საუკეთესო ადგილები დაკავებული აქვთ ყველაზე ცუდ ადამიანებს“ (ვინმე გამოვიდეს და უარყოს). პითაგორა ბრძენი იყო და ბრძნულად მსჯელობდა.**

დავუბრუნდები ზემოთ თქმულს. სიახლისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ცრუ დაპირებებით მოსულმა ნაცისტებმა სასიკვდილო დარტყმა მიაყენეს განათლებასა და მეცნიერებას. დაიწყეს ცოდნის ტაძრების დაუნდობელი რბევა. იარაღის მუქარით გამოაძევეს ჭეშმარიტების მსახურები. ბოროტებას ქართველთა მცირე ნაწილი აღუდგა წინ. **ცოდნის გაუფასურებას და მცოდნის დაუფასებლობას ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდნენ, თქვენ წარმოიდგინეთ შორეულ წარსულშიც. ორატორული ხელოვნების დიდი მოძღვარი და პუბლიცისტი ისოკრატე ძვ.წ. 380 წელს წერდა: ყოველთვის მაოცებდა, რომ დღესასწაულებზე, ათლეტთა შეჯიბრებებზე გამარჯვებულებს აკუთვნებენ უმაღლეს ჯილდოებს, ხოლო მათ, რომლებიც შრომობენ საერთო სიკეთისათვის, არც ჯილდოს და არც პატივს არ მიაგებენ, თუმცა, ისინი უფრო არიან პატივისცემის ღირსნი. მოაზროვნე კაცი სასარგებლოა ყველასათვის, ვინც მოისურვებს მისი გონების ნაყოფთან ზიარებას.**

ისოკრატეს შეგონებანი უცხო იყო ქართული სულიერების ცაზე მონავარდე ნაცისტებისათვის (თუმცა, არც დღევანდელი რეალობა ხვდება მხარდაჭერით). ძველ ბრძნეთა გამონათქვამების მოხმობა მრავლად შეიძლება, მაგრამ ვისაც უნდა ესმოდეს, არ სურს მოსმენა. ქართველმა ნაცისტებმა ცოდნის მსახურებს იარაღი მიუშვირეს და ტაძრის კარი ჩაუკეტეს. მსგავსი ქმედება, მსოფლიოს არც ერთ დიქტატორს არ მოსვლია აზრად.

მძლავრნი მძლავრობენ, სუსტები სუსტდებიან. მოხუცები ბერდებიან და უახლოვდებიან აღსასრულს. ბოროტების ლამპიონებმა (ლომაია-ხუბუას თავკაცობით) განათლებისა და მეცნიერების პროტესტანტ წარმომადგენლებს ხულიგნებისა და მეამბოხეების „საპატიო“ წოდებები მიანიჭეს (ეს ბევრისთვის სააკაშვილის რეჟიმის მიერ გაცემული უკანასკნელი „ჯილდო“ აღმოჩნდა).

უმართებულოდ დამცირებულთა და გალანძღულთა მხარდაჭერის ჰუმანური იდეა წამოაყენა უნივერსიტეტის რექტორმა აკად. ვლადიმერ პაპავამ, რომელიც მიზნად ისახავს მტრული ძალების უკუღმა ნახნავის წაღმა გასწორებას. ამ ნაბიჯით შესაძლებელი გახდება ნაცისტების ათწლიანი თავაშვებულების სამარცხვინო დაღის დაძლევა (მოვესწრებით მართალ სამართალს?).

„ერთი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა“, ზუსტად ასე დაატრიალა განგებამ ქართველთა ბედის ბორბალი. წავიდნენ ნაცისტები, მოვიდნენ ოცნებისტები. რიგითი მოქალაქის ცხოვრებაში რა შეიცვალა? გრძელ და განიერკაბინეტიანი ჩინოსნები ოდნავად ვერ ზომავენ სიტყვების ნაცრად გამოყენების ბუღს.

ჩვენს წინ თვალუწვდენელი სივრცეა, მიმართულება – უცნობი. **ევროპის სიკარგეში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ რაც გვაცვია, ის რატომ უნდა შემოვიძარცვოთ?** მივუყვებით სტრატეგიული პარტნიორობის ეკლიან გზას. ერის მამები ფუჭსიტყვაობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, პატრიოტიზმი გამხდარია თავშესაფარად. ბერძნულ სიტყვა პატერს – მამა(ლათინურადაც პატერ არის) დანიშნულება შევუცვალეთ. პატრიოტი პირდაპირი გაგებით მამულის ერთგულს ნიშნავს იმ ხალხთა ენაში, ვისთანაც ეს სიტყვა დაიბადა. ჩვენთან სიტყვას მისამართი აქვს შეცვლილი, ვხმარობთ უმისამართოდ. ქართველი პატრიოტები ავღანეთსა და ცენტრალურ აფრიკაში(ახლა უკრაინაც ემატება) ვის პატრიუმს იცავენ? დავარქვათ ის სახელი, რაც არიან. რატომ რჩება ძალაში ნაცისტების ტერმინოლოგია? ამ საკითხში ნუთუ ისევ იქა ვართ? ისეთივე რიხით ვაგრძელებთ სტრატეგიული პარტნიორების ქება-დიდებას და მათი ბრძნული მითითებების ერთგულად მსახურებას. ისტორიიდან ცნობილია, **როცა ჯარისკაცი სხვა ქვეყანაში იბრძვის სხვისი დროშით, მისი სახელია მოქირავნე.** ანალები გვაუწყებენ, რომ მოქირავნეობას ირჩევდნენ საარსებო საშუალებად უკიდურესად გაჭირვებული ქვეყნის შვილები. ამ კუთხით თუ მივუდგებით, სულაც არ არის საამაყო ქართველთა ყოფნა უცხო მიწაზე და ამით თავის მოწონება, თითქოს ასრულებენ პატრიოტულ მისიას. ცნობილია, რომ დღეს პოპულარული სიტყვის „პარტნიორის“ შინაარსი ყოველთვის მძიმედ აღიქმებოდა. წარსულში სხვა ქვეყნის არმიაში ბრძოლა, ძალით თავსმოხვეული ბეგარა იყო, რომელსაც ჩვენი მიწისათვის კარგი არ მოუტანია.

უნდა ვიცოდეთ არა მარტო ის, რა მოხდა გუშინ, არამედ ისიც, რაც ხდებოდა საუკუნეების წინათ. ციცერონი ამბობდა, ადამიანმა, რომელმაც არ იცის, რა მოხდა მის დაბადებამდე, ნიშნავს, რომ ის ბოლომდე ბავშვად დარჩა. ჩვენი ქვეყნის ისტორია უხსოვარი დროიდან მდიდარია უმძიმესი ტრაგედიებით, მტრები უკუღმა ხნავდნენ ჩვენს მიწას და თესდნენ აჩეხილ ძვლებს. უმოწყალოდ ანგრევდნენ და წვავდნენ ყოველივე ღირებულს. მონათა ბაზრები ივსებოდა ქართველი ტყვეებით (ამ უბედურების ყველაზე ადრინდელი ცნობები დაცული აქვს ჰეროდოტეს). ვაღამებდით და ვათენებდით მრისხანე იმპერიათა სატახტოების კარზე. ზოგჯერ უკან დასაბრუნებელი გზაც გვავიწყდებოდა.

თვალუწვდენელია ქართველთა პილიგრიმობის გეოგრაფიული არეალი: ანტიოქია, კტეზიფონ-ბაღდადი, რომი და კონსტანტინოპილი, ისპაჰან-სტამბოლი, მოსკოვი და უკანასკნელი იმედი ვაშინგტონი. ამ უსასრულო ოდისეადაში იშვიათად გამოანათებდა იმედის ვარსკვლავი (ყველაზე ხანგრძლივად კაშკაშებდა დავითისა და თამარის ეპოქაში), მაგრამ სწრაფადვე ქრებოდა. ქართველები დასაბამიდან სხვათა ომებში ღვრიდნენ სისხლს. **გავიმეორებ ადრე თქმულს: ისტორიის მამას ჰეროდოტეს დაფიქსირებული ჰყავს ჩვენი წინაპრები აქემენიდების არმიის შემადგენლობაში (სალამინის ბრძოლის მეომართა ჩამონათვალში ქართველური ტომების მრავალი წარმომადგენელია დასახელებული ძვ.წ.580 წელს). საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ ქართველები მარათონის ველზეც იქნებოდნენ ათი წლით ადრე).** მომდევნო საუკუნეებმაც ანალოგიური „პატრიოტული“ შემართებით გადაუარა საქართველოს. ჟამიანობის ავადმოსაგონარი წლები მრავლადაა ხაზგასმული ეროვნულ თუ უცხოურ მატიანეებში (ვახტანგ გორგასალი და ერეკლე მეორე პატრიოტული მისიით ლაშქრობდნენ ინდოეთში?).

ძლიერნი ამა ქვეყნისანი თავდაჯერებით გვარწმუნებენ, რომ უცხო ქვეყანაში მებრძოლი ქართველი არის პატრიოტი. განა ასეთივე შემართებით არ იხდიდნენ ბეგარას ჩვენი წინაპრები აქემენიდების, სასანიდების, არაბების, მონღოლების, თურქების და სხვა დამპყრობლების ლაშქრობებში? გამოხდა ხანი, ყველა ამ ხალხს(უფრო სწორად, მათ შთამომავლებს) მოვიხსენიებთ სტრატეგიულ პარტნიორებად და საუკუნოვან მეგობრებად. მხოლოდ რუსეთი გვყავს შერისხული, რომელთან ურთიერთობა ნაციონალებმა ჩვენი ისტორიიდან საერთოდ ამოშალეს და რაც მოიგო ქვეყანამ, მის საზღვრებს ეტყობა. დღევანდელ საქართველოში პატრიოტობად საღდება და დიდადაც ფასობს რუსეთის ლანძღვა. ამ კუთხით ნაცისტების ნარჩენებმა ყველა რეკორდი მოხსნეს. თუმცა, პოპულარობისა და მსხვილი ნაცისტების წინაშე კეკლუცობის მიზნით, არც ხურდაში მოყოლილი „პოლიტიკოსები“ ჩამორჩებიან.

ცხადია, ცუდს ცუდი უნდა დაერქვას და კარგს – კარგი. რუსეთი რომ დამპყრობელია, ეს ქართველების აღმოჩენა არ არის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მტრის გაღიზიანება ცუდად გვიბრუნდება. სახელმწიფოებრივი აზროვნება არეული მდგომარეობის დალაგებას მოითხოვს და არა ანთებულ ცეცხლზე ხმელი შეშის დამატებას. მსოფლიოს ისტორიიდან კარგად არის ცნობილი, საკუთარ ფეხზე მდგომი ყველა ქვეყანა იყო და არის აგრესორი და სხვათა მიწების მიმტაცებელი (ჩვენ შებრუნებით გვესმის, ყველა ანგელოზია, რუსეთის გარდა (მხოლოდ მან დაგვაქცია და დაგვამხო. სხვები ჩვენზე შფოთავენ და გმინავენ). ქუჩის მიტინგებს როდის დავაღწევთ თავს? ისტორია ცაში მოფარფატე დაუმთავრებელ პირთა ნებას არ ემორჩილება. ბრბოზე გათვლილი დემაგოგია (იგივე პოპულიზმი) ბრბოს საკუთრებად დარჩება და საბოლოოდ ფრთებს დაკეცავს „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ ჩრდილში.

უმწიფარ თავებში ამოტივტივებული მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის ამსახველი ფაქტები იმ სწავლულთა განსჯის მოლოდინშია, რომლებიც იცნობენ საკითხს, მაგრამ პოლიტიკური მოტივით (თუ შიშით) გამბედაობა არ ჰყოფნით სიმართლეს თვალი გაუსწორონ. საკუთარ ნიჟარებში შეყუჟულნი კმაყოფილდებიან მცირედით, უსიტყვო მორჩილების სანაცვლოდ რომ ღებულობენ. უზნეობის დუმილით გატარება თანხმობას რომ ნიშნავს, ეს მათ არ ესწავლებათ, მაგრამ თბილად ყოფნას ამჯობინებენ. ამაში ხედავენ თავიანთ მოვალეობას? **პატრიოტული სიტყვების უმისამართო გადმოღვრა არ ნიშნავს მამულის სიყვარულს** (ნაცისტების აღზევებიდან მოყოლებული მხოლოდ ერთეულები არ ეგუებოდნენ ყალბისმქმნელთა უაზრო ტაშ-ფანდურს და შევიწროების მიუხედავად, შეუპოვრად ამხელდნენ ახალი დროის სარკინოზთა ავკაცობას, მაგრამ პროტესტანტთა რაოდენობა იმდენად მცირე იყო, საერთო სურათის შეცვლა არ შეეძლო). თეთრისა და შავის გამრჩევი მსაჯული, ისტორია თავის სიტყვას ბოლოს ამბობს (სამწუხაროდ, გვიან).

ქართველები უბედობას სხვათა ომების მეომრებად ჰყავდა სახელდებული და ამ მისიას ასრულებდნენ, როგორც ბეგარას. ასეა დღესაც. დიდო ღმერთო! როდის გახდება ისტორია ქართველთა მასწავლებელი?

საუკუნეები გაფრინდნენ, რეალური სურათი შეიცვალა? სამწუხაროდ, ციკლი მეორდება. სტრატეგიული პარტნიორობა მომავალ თაობებს დაუტოვებს ახალ საამაყო ხატს, გმირულ შემართებას ცენტრალურ აფრიკაში, რომელიც ღირსეულად ამოუდგება გვერდში სპარსელთა, მონღოლთა და სხვათა ლაშქრობებში ჩვენი მახვილის ელვარებას. სანამდე გაგრძელდება სტრატეგიულ პარტნიორთა მძლავრობა?

ღმერთო! ნუთუ ესაა ქართველთა დანიშნულება ცისქვეშეთში? სხვა წყალობა არ გემეტება? მარადიული მზე ჩვეულებრივ ამოდის და ჩადის. ჩვენი მზე როდის გამოანათებს? ნუთუ მსხვერპლი, რომელიც გავიღეთ, საკმარისი არ არის?

ნაცისტური ჟამიანობა დამთავრდა? ეპილოგი ნაადრევი ხომ არ არის? კითხვას ვუსვამ მომავალს.

გრანი ქავთარია.

◎ ალიანჩალიანი

პროცედურების გამარტივების მიზნით

თბილისის საკრებულოს მიწის ლეგალიზაციის კომისიის თავმჯდომარის ბექა ნაცვლიშვილის განცხადებით, მიწის საკუთრებაში გადაცემის პროცედურები გამარტივდება.

მისი განცხადებით, ამა წლის 31 იანვრიდან 1 თებერვლამდე სამუშაო ჯგუფი, რომელიც საკრებულოს, ასევე დედაქალაქის მერიისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული, ახალ კანონპროექტთან დაკავშირებული სამუშაო პროცესის დასრულების მიზნით სიღნაღში გაემგზავრება.

„იმედი მაქვს, ჩვენ შევძლებთ ახალ კანონპროექტზე მუშაობის დასრულებას, რომელიც მოქალაქეთათვის მიწის ლეგალიზების პროცედურებს გაამარტივებს. ახალ კანონში შესული ცვლილება გულისხმობს ვადის გაზრდას და მართლზომიერი მფლობელობის უფლება, ანუ დაკავებული მიწის დასაკანონებელი წელი უკვე არა 2007 წლით, არამედ 2011 წლის 31 დეკემბრამდე იქნება განსაზღვრული.

აქედან გამომდინარე, ჩვენი მუშაობა ორიენტირებულია უფრო მეტი მოქალაქის სურვილის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს აქამდე იყო შესაძლებელი“, – აღნიშნა ბექა ნაცვლიშვილმა.

საკრებულოს ინფორმაციით, სხდომაზე ასევე კომისიაში საკუთრების დამტკიცების მოთხოვნით შესული 51 განცხადება განიხილეს.

მიწის ლეგალიზაციის კომისიის სხდომა საკრებულოში ყოველი კვირის სამშაბათს იმართება, რომელსაც უშუალოდ განმცხადებლები ესწრებიან.

ინტერპრესი

დასასრული. დასაწყისი იხ. № 15

დანარჩენს დრო გვიჩვენებს!..

სიმართლის ფასი

საზოგადოდ, საახალწლო და საშობაო დღესასწაულებს შარავანდედად ოდითგანვე დადებითი კონტექსტი და გუნება-განწყობილება მოსდევს – ახალმა წელმა, პირველ რიგში, ძველი წლის წყენებისგან უნდა დაგვცალოს და დაგროვილი პრობლემების გადასაჭრელად ახალი ძალებითა და შემართებით დაგვასაჩუქროს. რა თქმა უნდა, მიუხედავად ტრადიციული ინვარიანტობისა, საახალწლო მოლოდინების ინერცია, როგორც წესი, დიდხანს არ გრძელდება ხოლმე, მაგრამ ახალი 2015 წელი უკვე ისეთი ფათერაკებით აღინიშნა, რომ წინა წლების მოვლენათა აღქმის გვარიანად გამრუდებული სარკეების გასწორების დიდი იმედი არც წლეულს უნდა გვქონდეს.

2015-მა ჩვენ სახლებში სულ ახლახან, ერთი თვის წინათ შემოაბიჯა, მაგრამ სადღეისოდ უკვე მოვასწარით იმის გარკვევა, რომ მისი სახით მაინცდამაინც მშვიდი და გაწონასწორებული სტუმარი არ დაგვბედებია. სამწუხაროდ, საყოველთაო და ბუნებრივი საახალწლო განწყობის მინავლების კვალდაკვალ, ამ სტუმარმა საკმაო ოდენობის, არც თუ სასიხარულო სიურპრიზით მოგვამარაგა – შორეულ პარიზში სისხლიანი ტერაქტით დაწყებული, შუაგულ თბილისში ელბაქიძის დაღმართის ჩაშლითა და იქვე, „ზემელზე“, აზარიანცის ისტორიულ შენობაში გაჩენილი ხანძრით დამთავრებული.

მართლაც, რანაირად ავარიდოთ თავი იმ უსიამოვნო გარემოებას, რომ ყველასთვის, თითქოსდა, სასურველი და კეთილი თოვლის პაპის ნაკვთები ჩვენს თვალწინ დღითი დღე სულ უფრო ხისტი და უხეში ხდება? ასე, მან უკვე საგანგებოდ მიგვანიშნა პარიზის ცენტრში ამოტვიფრული სისხლიანი გზავნილის მეშვეობით, – რომ ისტორიის ბორბლის წინასაახალწლოდ ოდნავ შენელებული ბრუნვა ისევ დაჩქარდა და მისი ჩარხი ისეთი სისწრაფით აბზრიალდა, რომ სეირის მაყურებელთ (და ერთდროულად ამ სეირის უნებლიე მონაწილეთ) ლამისაა ამოსუნთქვის საშუალებაც აღარ გვეძლევა. ამიტომაც ერთობ ჭირს გასული დღესასწაულების ტრადიციულად ოპტიმისტურ კონტექსტში განხილვა – ყოველ შემთხვევაში, მიჭირს პირადად მე, როგორც ერთ ცალკე აღებულ ლიტერატორსა და ამ ქვეყნის მოქალაქეს. და კიდევ უფრო გამიჭირდება, თუკი გავბედავ და ისტორიის აჩქარების მიზეზების დადგენის პროცესში, მოვლენათა ურთიერთკავშირის გენეალოგიურ ხეს ღრმა ფესვებამდე ჩავყვები. ამიტომ, ამჯერად, მხოლოდ ამ დიდი ხის ტანზე შარშან ამოსულ ტოტებსა და კვირტებს მივადევნებ თვალყურს – არც ესაა ცოტა.

სულაც არ გახლავთ ადვილი ოლიმპიური სიმშვიდისა და ჩვეული ევროპული პოლიტკორექტულობის შენარჩუნება იმ სამწუხარო შარშანდელ მოვლენათა ფონზე, რომლებმაც ჯერ ზამთარში კიევის „მაიდანზე“ იჩინეს თავი, შემდეგ ყირიმში ინაცვლეს, მოგვიანებით დონბასის სასაკლაოს სახით წარმოგვიდგნენ, გზად რაღაც დღემდე უნახავი შარიათული კვაზისახელმწიფოს წარმოშობაც გვახარეს – ცივილიზებულ ურწმუნოთა მოკვეთილი თავებით ცივსისხლიან ხელებში, – ხოლო კულმინაციას უკვე ახალ წელს, საფრანგეთის დედაქალაქის შუაგულში, ეპატაჟური სატირული ჟურნალის „შარლი ებდოს“ რედაქციაზე თავდასხმის ჟამს მიაღწიეს. ისლამური რადიკალების მიერ 1968 წლის „პირველი ფერადი რევოლუციით“ შობილი, ანარქიული ტრადიციის ღირსეულად გამგრძელებელი და ცოტა თავქარიანი რედაქციის საკუთარ სახლში უმოწყალოდ ამოხოცვა, მხოლოდ შარშანდელი მოვლენების გამოძახილი და უკანასკნელი ხილული რგოლი გახლდათ ბნედიან გამობრწყინებათა ამ უსასრულო ჯაჭვში. ახალი საზრუნავი კაცობრიობას, ერთი შეხედვით, „კალაშნიკოვებით“ შეიარაღებულმა ალქაიდელმა ძმებმა ყუაშებმა შემატეს, თუმცა, ჩემი აზრით, მთლად გამართლებული არ იქნებოდა ეს მათი „საჩუქარი“ ჭეშმარიტ საახალწლო სიურპრიზად შერაცხილიყო. ევროპის კონტინენტზე მიმდინარე ქრისტიანული და მაჰმადიანური ცივილიზაციების კონფლიქტი მანამდეც კარგა ხანია, ლატენტურ ფაზაში ვითარდებოდა – თავ-თავისი კონფესიური თუ სოციალურ-გასტრარბაიტული მხარეებითურთ. პარიზის კრიზისი მხოლოდ იმდენად გახლდათ მოულოდნელი, რამდენადაც გულის უეცარი და ყოვლად დაუგეგმავი შეტევა მოულოდნელია გარეგნულად სავსებით ჯანმრთელი, მაგრამ ქშენისკენ მიდრეკილი და სათანადო მკურნალობის გარეშე დარჩენილი ასაკოვანი მამაკაცისთვის. და თუ დღეს, დიდი სისხლდენისა და გართულებების ფასად, ადრე გასაკეთებელი სტენტირება (ანუ წარმატებული სპეცოპერაცია და მომდევნო კოსმოპოლიტური მიტინგი პარიზის ცენტრში) მაინც ჩატარდა, არავინ უწყის, თუ რა შორს მიმავალი შედეგები მოჰყვება ამ მანიპულაციას და როდის გამეორდება გარე ძალების მორიგი შემოტევა დასნებოვნებული ორგანიზმის დასუსტებულ გულზე. წელი ხომ მხოლოდ ახლახან დაიწყო და ყველაფერი ჯერ წინაა. ბოლოს და ბოლოს, სამყაროში სადაც სააკაშვილის რეჟიმის მთავარი ბურჯის ზურაბ ადეიშვილის „დემოკრატიული“ უკრაინის გენპროკურორად გამწესებაზე მიდის სერიოზული მსჯელობა, ახალი მოულოდნელი კატაკლიზმები ნამდვილად მოსალოდნელია.

არ ვიცი, მავანი, შესაძლოა, არ ამჩნევს (ან არ იმჩნევს) რაიმე ბუნებრივ კავშირს შარშან ივლისში დონბასის თავზე მალაიზიური „ბოინგის“ ჩამოგდებასა და პარიზში ამა წლის იანვარში განხორციელებულ ტერაქტს შორის, და მავანი, ალბათ, იმასაც იტყვის, სად ცივილიზაციური კონფლიქტი „ბებერ ევროპაში“ და სად კიდევ რუსეთ-ამერიკის გეოპოლიტიკური შეჯახება უკრაინის (ან საქართველოს) მიწა-წყალზეო, მაგრამ მე მაინც ხელაღებით ვერ გავბედავდი ამ ორ ფაქტს შორის რაღაც არცთუ ცხადი და ნათელი, თუმცა, მაინც ონტოლოგიური კავშირის არსებობის უარყოფას. **ბოლოს და ბოლოს, დღევანდელი გლობალიზებული დედამიწა სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის წყალობით თვალსა და ხელს შუა ისე დაგვიპატარავდა, იმდენად მისაწვდომი გახდა დედამიწის ნებისმიერი კუთხე თავზეხელაღებული „ჯიხადისტებისთვის“ თუ „ჯვაროსნებისთვის“, რომ აწი, გვინდა-არგვინდა, ყველას ყველაფერი გვეხება. ამიერიდან ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანისთვის, ყველაზე არაამბიციურად და „ობივატელურად“ განწყობილისთვისაც კი, ძალზე ძნელია თვალების დახუჭვა იმ ცხად გარემოებაზე, რომ მშვიდობა დედამიწაზე, მსგავსად თითქმის მივიწყებული „ცივი ომის“ პერიოდისა, ისევ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.** და მარტო ეს რომ იყოს! თვით ატმოსფერო რომლითაც ვსუნთქავთ, სულ უფრო დამთრგუნველი და გაუმჭვირვალე ხდება, სულ უფრო მეტად იუღინთება სიძულვილის ნისლითა და მგზნებარე არატოლერანტობით, სულ უფრო მიმზიდველი ხდება ძალადობისა და აგრესიის მრავალნაირი გამოვლენისთვის და, სამწუხაროდ, მიმდინარე ისტორიული მომენტის ამგვარად დანახვა არის არა უსაფუძვლო ალარმიზმისა და პანიკის გამოხატულება, არამედ სრულიად რეალური შეფასება ჩვენი ყოველდღიურობისა.

ისიც უნდა ითქვას, რომ თხრობის შორეულ საფრანგეთში მიმდინარე მოვლენების აღწერით დაწყება ამ სტრიქონების ავტორს არავითარ ინტელექტუალურ სიამოვნებას არ ანიჭებდა, პირიქით. მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც შარშანდელმა წელმა ჩვენს პატარა სამშობლოს თავზესაყრელად დაუტოვა გადაუჭრელი შიდა პრობლემების რისხვა და უმჯობესია, ყველამ – განსაკუთრებით კი საქართველოს ე.წ. პოლიტიკურმა კლასმა“ – კარგად შეიგნოს და გაითვითცნობიეროს, რომ ფრანგული ტერაქტით გამოწვეული საინფორმაციო ცუნამი მხოლოდ **მცირე დროით თუ დაჩრდილავს საკუთრივ ქართულ სოციალ-პოლიტიკურ მოქცევებს. საზოგადოდ კარგი იქნებოდა, რომ კაცობრიობის გონიერ და მოაზროვნე ნაწილს ინტელექტუალური გამბედაობა გამოეჩინა და პირუთვნელად გაეცა პასუხი საკრალური შეკითხვისთვის: ნეტავ, რა პროცესები იმძლავრებდა დედამიწაზე ეს საზარელი ტერორიზმი საერთოდ რომ არ არსებულიყო?** მაშინ ხომ არც ერთ ელიტურ კლასსა თუ სოციალურ სტრატას, არც ერთ ქარიზმულ პოლიტიკურ ლიდერსა თუ რელიგიური კონფესიის თავკაცს აღარ დასჭირდებოდა საკუთარი აქტუალური თუ პოტენციური მომხრეების დარაზმვა და მობილიზება და მსოფლიოში შედარებით მოკლე ვადებში სრულიად სხვა ხასიათის კონფიგურაცია შეიქმნებოდა. კონფიგურაცია, რომელიც აღარ შეუწყობდა ხელს არც ომის გაჩაღებას, არც გარედან ნაკარნახევ „ფერად-ფერად რევოლუციებს“ სხვადასხვა ვითომ „სუვერენულ“ ქვეყნებში, არც ზედაფენათა ეგოცენტრიზმის გამამართლებელი „ოქროს მილიარდის“ თეორიის შექმნასა და, რაც მთავარია, არც მისი პრაქტიკული განხორციელების გლობალურ მცდელობას დანარჩენი 8 მილიარდის ხარჯზე და ა.შ. **კაცობრიობა იძულებით მაინც დადგებოდა რეალური პრობლემების – ქვეყნებს შორის არსებული უთანაბრობის, ქვეყნებს შიგნით მზარდი და თვალში საცემი უთანასწორობის, შუასაუკუნეობრივი ანტისანიტარიის გამო ებოლას მსგავსი ეპიდემიების გავრცელების და სხვა აღმაშოთებელ უმსგავსობათა – თანდათანობითი აღმოფხრის აუცილებლობის წინაშე.**

მართლაც სიმართლე და ჭეშმარიტებასთან მიახლოება თუ გვსურს, მაშინ სათანადო ინტელექტუალური ფასის გადასახდელადაც უნდა ვიყოთ მზად. პირუთვნელად უნდა ვაღიაროთ – და ეს გულგრილობა კი არა, რეალიზმი იქნება, – რომ ნებისმიერი ტერაქტის მსხვერპლთა პიროვნულ უბედურებას, სიღრმისეულად და, უპირველეს ყოვლისა, ადეკვატურად მხოლოდ მათი ახლობლები აღიქვამენ და სათანადოდაც განიცდიან, მხოლოდ მათ ევლინებათ ეს საშინელი ცხოვრებისეული გამოცდა აუნაზღაურებელი დანაკარგის სახით, მხოლოდ მათ მიაქვთ ეს უბედურება გულთან ახლოს. გარეთ კი, როგორც წესი, პოლიტიკური სპეკულაციები მძლავრობს... ხმაურიან და ემოციურ მასობრივ პროტესტებში მთავარი მაინც მათი წარმავალი ხასიათია – და კიდევ უნებლიე კონიუნქტურული თვალთმაქცობა, რომელიც ყოველთვის თან ახლავს ასეთ მიტინგებსა და დემონსტრაციებს. თავად განსაჯეთ: განა ბევრს აწუხებს დღეს იმ დაწყევლილი „ბოინგის“ სამასიოდე მსხვერპლი, მათი ახლობელ-ნათესავების გარდა? მეტიც: ისტორიული პრაქტიკა აჩვენებს, რომ ვერც ერთი ოფიციოზური გლოვა ვერ იქნება ხანგრძლივი და, მით უმეტეს, მუდმივი, თუ მას საფუძვლად ფართო მასების ნებით მყარი და საკრალური პოლიტიკური შინაარსი არ დაედო (მსგავსად ჰოლოკოსტისა თუ სომხების გენოციდისა თურქეთში). ვერც რუსეთ-უკრაინის კონფრონტაციისა და ვერც პარიზული ჩაცხრილვის მსხვერლნი ამ რანგში ჯერჯერობით ვერ გადიან, ხოლო წმინდა ადამიანურად... **ინტერნაციონალური სამთავრობო წრეების ფორმალურმა და დიპლომატიით გაჟღენთილმა თანაგრძნობამ გულუბრყვილობის მორევში არ უნდა ჩაგვითრიოს. მასობრივ მიტინგებში განუზომლად მეტი თვალთმაქცობა შეიძლება ამოიკითხო, ვიდრე დაღუპულთა ახლობლების ნაღვლიან გამოხედვებში და მათივე გულწრფელ ცრემლებში, რომლებშიც – აშკარად პათოლოგიური შემთხვევების გარდა – თვალთმაქცობა საერთოდ არ იგრძნობა.** რაც შეეხება „ბოინგის“ მსხვერპლებს – ესეც სპეკულაციის საგანი გახდა, ბრალდებულებს მხარეები ნიშნავენ საკუთარი პოლიტიკური სიმპათიებიდან თუ ინტერესებიდან გამომდინარე, და სადაა იმის გარანტია, რომ „ებდოს“ თავდასხმისას დაღუპული 12 ადამიანის სულებს იგივე მომავალი არ ელით?

მაგრამ გვეყო დიდ მსოფლიოზე ამდენი ზრუნვა, სახლში დაბრუნების დროც დადგა.

საქართველოში წლეულს იგივე პრობლემებია, რაც შარშან, თუმცა შეინიშნება არცთუ სასიამოვნო ცვლილებებიც. **ძალზე გააქტიურდა ნაციონალების ე.წ. „პოლიტიკური ოპოზიცია“, რომელიც მმართველი ძალის ხელდასხმითა და განზრახ უნიათობით გასულ წელს გადაურჩა დამსახურებულ „მივლინებას“ პოლიტიკურ სანაგვეზე და – მადლობის მაგიერ – იმდენად გათავხედდა, რომ უკვე ქვეყნის გარედან ცდილობს საქართველოში სიტუაციის არევას და პოლიტიკური წონასწორობის თავის სასარგებლოდ შერყევას. როგორც ჩანს, ნაცმოს სტრატეგები (თუ უცხოელი „კურატორები“) თვლიან, რომ მათთვის ხელსაყრელი მომენტი ახლოვდება. აქვთ კიდეც გარკვეული საფუძველი ასე იფიქრონ – შარშანდელ ადგილობრივ არჩევნებზე „ოცნებამ“ ვერაფერი შედეგი აჩვენა. მაგრამ ნაციონალები არ ითვალისწინებენ მთავარს: იმას, რომ ქართველი ხალხი მათი ცხრაწლიანი ბოგინის შედეგად საკმაოდ ძლიერადაა ვაქცინირებული და „ოცნების“ რეიტინგის კლება სულაც არ ნიშნავს ნაცმოს რეიტინგის მატებას – მისი წარსული „გმირობების“ ფონზე.** მაგრამ „ოცნებამაც“ უნდა გაითვალისწინოს, რომ ძველი წლიდან ახალში მემკვიდრეობით გადმოსული რეიტინგის კლების ტენდენციის გადაფარვა შორეული ფრანგული ტერაქტებით შეუძლებელია. **პოლიტიკას უყვარს აქტივობა, მიხეილ სააკაშვილი აქტიურობს, ხოლო უმაღლესი თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადამდგარი და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების „კულუარული მართვით“ დაკავებული ბიძინა ივანიშვილი კი ჯერჯერობით გარეგნული სიმშვიდით უცქერს თავისი მთავარი და დაუღალავი ოპონენტის გახშირებულ ინტერვიუებს ქართულ ტელესივრცეში და პოლიტიკურ სარბიელზე ოფიციალურად დაბრუნების ნაცვლად რაღაც ახალი თოქ-შოუს მზადებითაა დაკავებული.** საქმე კი ისაა, რომ პოლიტიკურ ცხოვრებას ოდითგანვე თავისი ძირითადი, თითქმის ურყევი, ზოგჯერ უხილავი, მაგრამ ლამის აქსიომატური კანონები აქვს და არც ერთ კეთილ მილიარდერსა თუ თოვლის პაპას დედამიწაზე არ ძალუძს ამ კანონების საკუთარ ნებაზე დიდი ხნით მორგება. კონსტიტუციის მორგება შეუძლია, მაგრამ პოლიტიკური ცხოვრების კანონებისა – ვერა. ფაქტია, რომ ივანიშვილი არასაკმარისად თანამიმდევრული და რადიკალური აღმოჩნდა (ან ვერ გაუძლო დასავლეთის გარკვეული გავლენიანი წრეების ზეწოლას) „მიშიზმთან“ პრინციპულ შერკინებაში და დისკრედიტებულ ნაციონალურ სექტას მის მიერ მითვისებული საპარლამენტო ბერკეტები დაუტოვა, არადა, მათი მანდატების გაუვნებელყოფას არაფერი უნდოდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების გარდა (ეგ ვარიანტი, დარწმუნებული ვარ, არაა საბოლოოდ ჩამოწერილი დღის წესრიგიდან – როგორც ნაცმოს დათრგუნვისა და განიარაღების ყველაზე ექსტრემალური ხერხი, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ 2012-ში გამარჯვებულ კოალიციას სურს, დიდი რყევებისა და გართულებების გარეშე როგორმე მიატანოს 2016 წლამდე, კონსტუტიციით გათვალისწინებულ მორიგ არჩევნებამდე). მაგრამ, ერთი მხრივ, პოლიტიკურმა მეტოქემ მას შესაძლოა, ამის საშუალება არ მისცეს, ხოლო მეორე მხრივ, ჩვენ იმასაც ვხედავთ, რომ მმართველი კოალიციის დაშლა სულაც არაა გამორიცხული (ამისთვის უკვე იღვაწეს „თავისუფალმა დემოკრატებმა“ და რიგში დგანან „რესპუბლიკელები“). ამასობაში კი ქვეყანაში რეალურად დამკვიდრდა, ასე ვთქვათ, ანონიმური მმართველობა შესუსტებული პრემიერითა და სუსტი პრეზიდენტით – ანუ ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური მოდელი ისტორიაში, რომელსაც არაფერი აქვს საერთო არც დემოკრატიასთან, არც ფაშიზმთან, არც კომუნიზმთან და არც ლიბერალიზმთან. არადა, საჯარო პოლიტიკა ლამის ყველაფერს პატიობს საჯარო პოლიტიკოსს ენერგიის დეფიციტისა და ანონიმურობის გარდა. ხალხი თავისი ლიდერისგან ელის რაღაც გაცილებით უფრო ქმედითს, ვიდრე „ბიზანტიურ-კულუარული“ მმართველობა და გერმანელი ფილოსოფოსების შემოქმედების თუ ფსიქოანალიზის საფუძვლებისადმი ბოლო-ბოლო, 2012 წლის ტრიუმფალური საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში, ამ ორწლიანი გადასახედიდან, პრინციპულად რა შეიცვალა საქართველოში, გარდა იმისა, რომ გაუწონასწორებელი, კალიგულიზმით შეპყრობილი და უკონტროლო საჯარო ლიდერი შეიცვალა გაწონასწორებულით, ფრთხილით, მაგრამ ასევე უკონტროლოთი და, თანაც, კულუარულით – ანუ ისეთით, რომელიც პასუხს ფორმალურად არაფერზე არ აგებს? შეიცვალა ის, რომ გაქრა (ალბათ, დროებით) მოსმენებისა და მიყურადების საყოველთაო შიში, თითქოს დასრულდა ბიზნესების ღამ-ღამობით „ახვისა“ და სამსახურებიდან „ჩარეცხვის“ სამარცხვინო პრაქტიკა (არადა, ეს ყოველივე ცოტა როდია), ავად თუ კარგად, მაგრამ ჩატარდა ჯანდაცვის ურთულესი რეფორმა და რიგითი მოქალაქისთვის ექიმი უფრო ხელმისწვდომი გახდა, მაგრამ სხვა (ძირითადად სოციალ-ეკონომიკური) პრობლემების გამძაფრების ფონზე ხელისუფლების პოლიტიკურმა „უკბილობამ“ შესაძლოა, გააძლიეროს აგრესიული „მიშისტური საპარლამენტო ოპოზიცია“, რომელიც აგერ უკვე უკრაინის მიწა-წყლიდან სააკაშვილის დაქვემდებარებაში გადასული და ფორმირების სტადიაში მყოფი შეიარაღებული შენაერთებითაც კი ემუქრება საზოგადოებრივ სტაბილობას საქართველოში. ხელისუფლების გაუბედაობა საგარეოპოლიტიკურ საკითხებში, მისი გაურკვეველი ორიენტაცია, ასევე არყევს „საოცნებო კოალიციას“ შიგნიდან – საქმე ხომ მარტო ამა თუ იმ საბუთის ხელმოწერაში არაა, და მე ვთვლი, რომ საქართველოში კვლავაც აქტუალურია საკითხი ორიენტაციული რეფერენდუმის გამართვის თობაზე – ქართველ ხალხს უნდა მიეცეს საშუალება, პატიოსნად და გაუყალბებლად გაარკვიოს: სურს თუ არა მას სინამდვილეში ყველა წინა ხელისუფლების მიერ ესოდენ „გაპიარებული“ ევროპა და ნატო? ამ საკითხის გადაწყვეტა არ გახლავთ მხოლოდ ე.წ. „პოლიტიკური ელიტის“ კომპეტენცია, თუმცა, ვფიქრობ, რომ უცხოეთის ცნობილი საელჩოებიდან დიდწილად მართული ხელისუფლება დღეს არაა მზად ესოდენ პრინციპული ნაბიჯის გადასადგმელად. **ორ სკამზე ჯდომას უნარი და ნიჭი უნდა – გარდა ყველაფრისა, კარგადაა გაცნობიერებელი, რომ ყველა შარშანდელი თავსატეხი უკვე წლევანდელი გახდა და ძველ პრობლემებს თანდათან ახალ-ახალი პრობლემები ემატება – ხან ლარის გაუფასურების, ხან მედროვე ჩინოვნიკებისთვის პრემია-დანამატების ჩამორიგების ჩვეული პრაქტიკის გაგრძელების, ხანაც მოსახლეობისთვის უაღრესად მგრძნობიარე და მტკივნეული საყოფაცხოვრებო თემების (კომუნალური ტარიფები, სემეკის დღევანდელი ფორმით არსებობა, წყლის ქსელების გაუმართაობა და ა.შ.) აქტუალიზაციის სახით.**

ამ ზოგად-პოლიტიკურ მიმოხილვას ამჯერად ძირამდე არ ჩავყვები – სტატიის ფორმატი ამის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ **ბოლოს მაინც მინდა, შევეხო ჩვენი საზოგადოებრივი არსებობის ორ უმნიშვნელოვანეს და, ჩემი აზრით, უსუსტეს** ცხოველმყოფელი ლტოლვის დემონსტრირება.

დანარჩენს დრო გვიჩვენებს!..

წერტილს: მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში შექმნილ ვითარებას. მართლაც, ღირს ორიოდე სიტყვის ჩამოგდება იმაზე, თუ როგორ ვითარდება ეს სფეროები (ცალკეული დარგების განხილვის გარეშე) „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში. იმავდროულად შევეცდები, სათქმელი მოკლედ ვთქვა, რათა დაღლილი მკითხველი ბანალობებით ან ზედმეტი დეტალიზებით კიდევ მეტად არ გადავღალო.

ძირითადი მომენტი აქ ისაა, რომ მეცნიერების მართვის თვალსაზრისით „ოცნება“ რეალურად ნაცმოს ფსევდო-რეფორმატორულ კურსს აგრძელებს. **სინანულით მინდა, აღვნიშნო, რომ „ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებები სამართლიანობის აღდგენის კუთხით არ აღსრულებულა. „ჩარეცხილი“ ინტელიგენციის „ამორეცხვის“ პროცესი არც ერთ წამყვან უნივერსიტეტში თუ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში არ დაწყებულა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა.** ალბათ, სირთულეები ნაწილობრივ ობიექტურ ხასიათსაც ატარებს, რამეთუ **სააკაშვილის დროს მისი „ხუნვეიბინებით“ დაკომპლექტებულმა პარლამენტმა განახორციელა საკანონდებლო ცვლილებათა მთელი წყება სწორედ იმ მიზნით, რომ უმაღლესი სასწავლებლები ე.წ. „საბჭოთა წარმომავლობის“ ინტელიგენციისგან რადიკალურად გაწმენდილიყო და დარჩენილი „კარკასი“ მხოლოდ თავისი მომხრეებისთვის დაეტოვებინა –საშვილიშვილოდ და „ახალი ადამიანის“ (ქართველი ზომბის) შესაქმნელად.** ამ დანაშაულებრივი ჩანაფიქრის ბოლომდე შესრულება ჩვენმა „დემოკრატიულმა წითელმა ქხმერებმა“ ვერ მოასწრეს, თავად „ნაცმოძრაობამაც“ დაკარგა ძალაუფლება, მაგრამ **ახალმა მთავრობამ მას მერე, პრაქტიკულად, თითი თითზე არ დააკარა, რათა განვითარების ვექტორი შეცვლილიყო: „ჩარეცხილი“ ადამიანები შეძლებისდაგვარად სამსახურებში აღედგინა, დაზარალებულთა კომპენსირების რაღაც ფორმებზე ეზრუნა, მართვის გარკვეული ბერკეტები სამინისტროდან ისევ მეცნიერებათა აკადემიისთვის დაებრუნებინა, გაეზარდა მეცნიერებაზე მიმართული მშპ-ს წილი 0,2%-დან 2%-მდე მაინც** (ევროპული სტადარტის ქვედა ზღვარი) **და ა.შ. პრაქტიკულად ყველას ყველაფერი შერჩა.** მეცნიერებათა აკადემია, რომელიც ყოველთვის ერიდებოდა რაიმე „ანტისამთავრობო“ პოზიციის გაცხადებას, არც დღეს ჩართულა მეცნიერების მართვის კუთვნილი უფლებების ხელახლა მოსაპოვებელ ბრძოლაში. შესაბამისად, მთელი „სამეცნიერო ძალაუფლება“ კვლავაც სამინისტროს „მენეჯერული“ რგოლებისა და ცალკეული „დამოუკიდებელი“ რექტორების ხელშია კონცენტრირებული, არსობრივად წარმოჩენილია სრული სტაგნაცია, კვლევითი ინსტიტუტების გასაცოდავებული ნარჩენები კი კვლავაც საკაკაშვილის მიერ დაწინაურებული კადრების ხელში რჩებიან. რაიმე ხელშესახები პოზიტიური ძვრები არც კულტურის სფეროში შეინიშნება. აქაც სკამებს მიჯაჭვული მოქმედი ბიუროკრატია ძირითადად საბიუჯეტო სახსრების მითვისება-განაწილებითაა დაკავებული (ფესტივალები, მივლინებები და ა.შ.) და კვლავაც ჯაბნის საწყალ ხელგაწვდილ შემოქმედს - მხატვარს, პოეტსა თუ მწერალს. ილუსტრაციისთვის დავამატებდი რამდენიმე მაგალითს: დიდი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის სახელს სიტყვიერად ყველა პატივს სცემს, მაგრამ მიუხედავად მრავალგზისი დაპირებისა, ვერა და ვერ მოხერხდა „მინისტების“ მიერ გაუქმებული დიდი ტრადიციის მქონე ფსიქოლოგიის ინსტიტუტის (სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ) ძველი ფორმით აღდგენა – არადა, რამდენი ლაპარაკი მახსოვს ამის თაობაზე! ასევე აღსანიშნავია, რომ **ივანიშვილისა და მარგველაშვილის ხელისუფლებამ უცვლელი ოაზისის სახით შეინარჩუნა „მინიზმის“ მთავარი იდეოლოგიური კერა – „ილიაუნი“, რაც ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით თანამედროვე კაფკიანობისა და ქართული აბსურდის თეატრში დადგმული „კოჰაბიტაციური“ სპექტაკლის კულმინაცია გახლავთ.**

ჯობს, თვალი გავუსწოროთ სიმართლეს: **რეალურად „ოცნების“ ორწლიანი მმართველობა, უპირველეს ყოვლისა, საბაზრო პირობებში ფულის ძალის დემონსტრირებას მიეძღვნა და მოხმარდა. ანუ იმის დასაბუთებას, რომ ჩვენეულ კერძო კაპიტალს ახალი ჟურნალის დაარსებას, ახალი წიგნის გამოცემას, ახალი ინსტიტუტის გახსნას ან ძველის აღდგენას, დღემდე მოღწეული ისტორიული ძეგლების შენარჩუნებას და მათი შთამომავლობისთვის გადაცემას – აი, ყველაფერ ამას, - წმინდა ფინანსური მოგება ურჩევნია. სწორედ ამას ეწოდება თანამედროვე მენეჯერული აზროვნება, რაც, ჩემი აზრით, თავისთავად ტრაგედიაა,** მაგრამ კიდევ უფრო დიდ ტრაგედიად ის მიმაჩნია, რომ ამას შეურიგდა და ანალოგიურად აზროვნებს არა ერთი და ორი საკმაოდ ჭკვიანი და განათლებული ადამიანი. პირველად არ ხდება ისტორიაში, როდესაც გავრცელებულ და დაკანონებულ უგუნურებას ეწირება დაჩაგრული შემოქმედი კაციც და მთელი თაობებიც – კაცობრიობის წარსული სავსეა ასეთი მაგალითებით, რას იზამ... სხვათა შორის, „ოცნების“ ასეთი პოზიცია გარკვეულად განაპირობა უამრავი ყოფილი ნაცისა ან ნაცებისადმი ლოიალური მაჟორიტარი დეპუტატების, საკრებულოთა წევრებისა და გამგებლების „ოცნებაში“ მასობრივად გადადინებამ. გარიგება გარიგებას მოსდევდა და ჩვენ ყველანი ვხედავდით და ვხედავთ, რომ ასე მოწვეულ „კადრებს“ ხშირ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებოდა და ენიჭება მათ წინაშე, ვინც თავი არ დაიზოგა, საკუთარი კეთილდღეობა სასწორის პინაზე შეაგდო, გარისკა და რაღაც მართლაც სერიოზული მოიმოქმედა სააკაშვილის პროფაშისტურ-„წითელქხმერული“ რეჟიმის წინააღმდეგ და მის მოსაცილებლად.

რა თქმა უნდა, დღეს ისეთი სისულელის ხმამაღლა თქმას, როგორიცაა „მეცნიერება, რად გვინდა?“ ან „კულტურა რად გვინდა?“, არც ერთი ჭკუათამყოფელი პრემიერი, პრეზიდენტი, ოლიგარქი ან მინისტრი არ იკადრებს. მაგრამ ეს არცაა საჭირო. მოიძებნება სხვა ფრაზები ან მოდური ევფემიზმები – მენეჯერებიო, ევროპული სტანდარტებიო, ბოლონიის პროცესიო... საბოლოო ჯამში კი მმართველი „ელიტის“ მიერ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მეცნიერების სფეროს არ ხელმძღვანელობდეს ღირსეული და უფლებამოსილი მეცნიერი, ხოლო კულტურის სფეროს – ღირსეული და უფლებამოსილი ხელოვანი. რატომ? იმიტომ, რომ ეს მართლაც შეიძლება სახიფათო გახდეს იმ საზოგადოებრივი სტაბილურობისთვის, რომელიც სწორედ ამ „ელიტაში“ შემავალი განსხვავებული პოლიტიკური წარმომავლობის სუბიექტების შეხმატკბილებულ თანაარსებობას გულისხმობს. ფულის მაგნეტიკურმა ძალამ იჩინა თავი წინასაახალწლოდაც, საყდრისის გარშემო დატრიალებულ კონფლიქტში. „ნაცისტები“ რა ხილიც იყვნენ – გასაგებია, მაგრამ ვერც იმაზე დავხუჭავთ თვალებს, რომ „ოცნების“ პოლიტიკური ფილოსოფია ყველაზე უკეთ გამოიხატება უმარტივესი მაქსიმით: დიდმა ფულმა ყველგან და ყოველთვის უნდა იმძლავროს და გაიმარჯვოს. ქართულ სინამდვილეს შესანიშნავად ესადაგება ცნობილი მარქსისტული თეზისი, რომელიც ღაღადებს, რომ **„მსხვილი კაპიტალი, 100%-იანი მოგების სუნი თუ ეცა, მზადაა, უკუაგდოს ყველა ადამიანური კანონი, ხოლო 300%-იანი მოგების გულისთვის არ არსებობს დანაშაული, რომელზეც იგი არ წავა“.** იდეალისტი კარგა ხანია, არ გახლავართ, მარქსს პატივს ვცემ და ვშიშობ, რომ ვაითუ, ეს სიტყვები ზედგამოჭრილია თანამედროვე „ქართული ოცნების“ პრაქტიკული საქმიანობის დასახასიათებლად. ამ მხრივ არ შემიძლია, არ გავიხსენო კულტურის მინისტრის ბატონ გურამ ოდიშარიას ბედი.

„საოცნებო მთავრობის“ კულტურის პირველი მინისტრი, ცნობილი მწერალი გურამ ოდიშარია წელიწადზე მეტი ხელმძღვანელობდა სამინისტროს და, კაცმა რომ თქვას, თავის პოსტზე თავი მაინცდამაინც არ გამოუჩენია. ცდილობდა, როგორც შეეძლო, არაფერს განსაკუთრებულსა თუ არაორდინარულს არ სჩადიოდა, ნავს არ არწევდა, „გუნდის“ წევრობით ამაყობდა, პასუხისმგებლობას თავის მოადგილეებს უხვად უნაწილებდა და ზოგჯერ ხდებოდა კიდეც ქვეყნის პირველი პირის მსუბუქი კრიტიკის ობიექტი – ეს იყო და ეს. რა თქმა უნდა, ქართული კულტურის სამყაროში რაღაც პრეტენზიები მის მიმართაც გროვდებოდა, მაგრამ არც ამაში ყოფილა რაიმე საგანგებო ან საგანგაშო. საკვირველი იქნებოდა, პირიქით რომ ყოფილიყო – ასეთ პოსტზე ყველას მოსაწონი ვერ გახდები.

მაგრამ რაღაც კრიტიკულ მომენტში, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ამ „გუნდის წევრმა“ აღარ მოაწერა („არ“ თუ „ვერ“ ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია დამდგარი შედეგი) ცნობილ და უკვე გამზადებულ ბრძანებას საყდრისის არქეოლოგიური ძეგლისთვის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის სტატუსის მოხსნაზე ერთი ოქროსმომპოვებელი ფირმის ინტერესებში. რამდენადაც მახსოვს, მწერალმა მინისტრმა თავის თავი შვებულებაში გაუშვა და დაუძვრა ამ ხელმოწერას! ნუ, ახლა მთლად კამიკაძესავით საყდრისს არ შეეწირა, მაგრამ სულ არაფერს მაინც ეგ სჯობდა - არ მოაწერა! სამაგიეროდ მის სავარძელში დასმულმა „მენეჯერმა“ ეს იოლად გააკეთა. აფეთქებები საბადოზე გაგრძელდა და ყველამ დაინახა, რომ პროგრესს ვერაფერი შეაჩერებს. დიდი ფული ყოველთვის იმარჯვებს და ვინც ამას არ აღიარებს (ან შინაგანად არ ღებულობს), ის ან თვალთმაქცია, ან არაფერი გაეგება თანამედროვე პოლიტიკაში.

ჩემი აზრით კი, სწორედ ამაში გამოვლინდა განსხვავება თანამდებობის პირ ხელოვანსა და სტანდარტულ ჩინოვნიკს შორის და, ცხადია, მმართველმა ჯგუფმა სათანადო დასკვნა გამოიტანა ჩინოვნიკის სასარგებლოდ.

დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს, ბატონებო. წელიწადი წინაა!

გოგი ლორთქიფანიძე.

reportiori.ge

SIC!

რა ქონებით ტოვებს უზენაეს სასამართლოს კონსტანტინე კუბლაშვილი

ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას „გურია ნიუსი“. ინტერნეტ-გამოცემის ინფორმაციით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილს 2000 წლიდან დღემდე 17 დეკლარაცია აქვს შევსებული. მისი ფინანსური მდგომარეობა ამ 14 წლის განმავლობაში საგრძნობლად იცვლება.

2000 წელს, პირველი დეკლარაციის შევსებისას, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის პოსტზე, კუბლაშვილი შევარდნაძის ხელისუფლებაში ერთ-ერთი ღარიბი ჩინოვნიკი იყო. მას, თანამდებობაზე დანიშვნის დროს, თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე ჰქონდა 15 ათას დოლარად შეფასებული, 55 კვმ. ფართობის ბინა, რომელიც დეკლარაციის მიხედვით, 1992 წელს მშობლების დანაზოგი 20 ათასი რუბლით შეიძინა.

მისი მეუღლის მარინა მესხის დეკლარირებულ ქონებას კი, 2500 დოლარად შეფასებული პერსონალური კომპიუტერი „ტოშიბა“ წარმოადგენდა.

2001 წელს, მიხეილ სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობის პერიოდში, კუბლაშვილი სააკაშვილის პირველ მოადგილედ დაინიშნა. სწორედ ამ წლიდან იწყება მისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაც.

2004 წლის დეკლარაციის მიხედვით, მის მეუღლეს მარინა მესხს მისმა დამ მაია მესხმა საჩუქრად გადასცა ბინა ბუკიას ბაღში მშენებარე სახლში, რომელიც საკმაოდ სოლიდურად – 100 ათას ლარად შეაფასეს. ეს საჩუქარი დეკლარაციაში თვალსაჩინოდ იქნა აფიშირებული. თუმცა, იმ დროისთვის კუბლაშვილს ამ ბინის დეკლარირების ფორმალური ვალდებულება არ ჰქონდა, რადგან ჩუქების სამართლებრივი პროცედურები განხორციელებული არ იყო, ანუ ქონება მის ოჯახს ოფიციალურად არ ეკუთვნოდა.

ამ თემაზე „გურია ნიუსი“ 2011 წელს წერდა.

მომდევნო წლების დეკლარაციებში ცოლისდის ნაჩუქარი ქონების შესახებ კუბლაშვილმა რამდენიმე ურთიერთგანსხვავებული ჩანაწერი შეიტანა. საჯარო რეესტრის მონაცემებით, **ბუკიას ბაღში მიწის ფართობი და შენობა კუბლაშვილის ცოლისდამ 2001 წელს შეიძინა, მაშინ, როცა იგი 26 წლის იყო და ბუდაპეშტში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში სწავლობდა.**

ბიოგრაფიული მონაცემებით, მაია მესხი ვანის რაიონის სოფელ ამაღლებიდანაა. სკოლის დამთავრების შემდეგ, მისი საქმიანობა მხოლოდ სწავლა-განათლების მიღებით შემოიფარგლებოდა და არანაირ სამეწარმეო საქმიანობაში არ მონაწილეობდა.

ამასთან, კუბლაშვილის ცოლისდის სახელზე, საჯარო რეესტრში ბუკიას ბაღის მიწის ფართობი სწორედ იმ წელს დარეგისტრირდა, როცა კონსტანტინე კუბლაშვილის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ ინფორმაცია გახმაურდა და ბიზნესმენებიდან დაწყებული, პოლიტიკოსებით დამთავრებული, მისი მკურნალობისთვის თანხებს აგროვებდნენ.

26 წლის ცოლისდის მიერ შეძენილი ქონების საკმაოდ დიდი ნაწილი – 180 კვმეტრი, მალევე, 2004 წელს კუბლაშვილების ოჯახის ოფიციალურ მფლობელობაში გადავიდა.

მაია მესხის მიერ კუბლაშვილისთვის ნაჩუქარი მიწის ნაკვეთი და მშენებარე სახლი თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, დღეს თვალსაჩინო ოთხსართულიანი შენობაა. კუბლაშვილის დეკლარაციაში არანაირი ჩანაწერი და მონაცემი, თუ რა თანხით აშენდა და გარემონტდა ეს ყველაფერი, არ არსებობს.

დეკლარაციაში არც იმ იპოთეკის შესახებაა მითითებული, რომლითაც ეს სახლი 2006 წელს „თიბისი ბანკში“ იყო დატვირთული, რის საფუძველზეც, კრედიტის სახით, მაია მესხის სასარგებლოდ, 100 ათასი დოლარი გაიცა.

2008 წლის დეკლარაციის მიხედვით, ბუკიას ბაღში მდებარე ბინის ღირებულება 250 ათასი დოლარია. გარდა ამისა, კუბლაშვილის მფლობელობაში ვაჟა-ფშაველაზე მდებარე ბინის ფასი 15 ათასი დოლარიდან 50 ათას დოლარამდე გაიზარდა. ოჯახის კუთვნილებაშია ასევე 4 ათას დოლარად შეფასებული როიალიც.

გარდა ძვირად ღირებული ბინისა, კუბლაშვილის დეკლარაციას მომდევნო წლებში, რამდენიმე მიწის ნაკვეთი და ორი სახლიც დაემატა.

კერძოდ კი, კუბლაშვილების ოჯახმა 2008 წელს შეიძინეს 160 კვ.მ ფართობის სახლი ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომაში, რომელშიც 2 ათასი დოლარი გადაიხადეს.

2010 წელს კუბლაშვილის დეკლარაციას ემატება მეუღლის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომლის ფართობი 1500 კვ.მ-ია.

2012 წელს კი, კუბლაშვილის დეკლარაციას მცხეთის რაიონის სოფელ წოდორეთში 1400 კვ.მ-ის ფართობის მიწის ნაკვეთი და 110 კვ.მ-ის საცხოვრებელი სახლი დაემატა, რომლის ღირებულება დეკლარაციის მიხედვით, 34 ათასი დოლარია.

დეკლარაციაში ასევე აღნიშნულია, რომ სახლის სარემონტო სამუშაობისთვის 11 500 ლარი დაიხარჯა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ წელს ოჯახის შემოსავალი საერთო ჯამში 170 925 ლარი იყო, აქედან, კუბლაშვილის ხელფასი – 131 525 ლარი, მისი მეუღლის კი 39400 ლარი გახლდათ.

რაც შეეხება კუბლაშვილის ბოლო დეკლარაციას, ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ 2014 წლის 28 მაისს შეავსო.

დეკლარაციის მიხედვით, გარდა ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე ბინისა, ყველა უძრავი ქონება მისი მეუღლის მარინა მესხის საკუთრებაშია.

რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, დეკლარაციის შევსების მომენტში კონსტანტინე კუბლაშვილის სახელზე „რესპუბლიკა ბანკში“ სახელფასო ანგარიშზე 14200 ლარი იყო; ნაღდი ფულის სახით კი კუბლაშვილს 10 ათასი ლარი ჰქონდა.

ამავე ბანკში სახელფასო ანგარიშზე მის მეუღლე მარინა მესხს 6186 ლარი ჰქონდა. მიმდინარე ანგარიშებზე კი, 3421 დოლარი და 466 ევრო ირიცხებოდა. „თიბისი ბანკის“ მიმდინარე ანგარიშზე – 57 დოლარი.

რაც შეეხება კონსტანტინე კუბლაშვილის შვილს, მის ანგარიშზე „თიბისი ბანკში“ ახსნილ დეპოზიტზე 15350 დოლარი ირიცხებოდა.

კონსტანტინე კუბლაშვილს შემოსავალი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე, წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით 127300 ლარი იყო. მისი მეუღლის სახელფასო შემოსავალი კი, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის თანამდებობაზე 49400 ლარი; თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების პედაგოგის პოსტზე კი –3000 ლარი.

დეკლარაციაში ასევე მითითებულია, რომ 2013 წელს მარინა მესხმა თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოქტურანტურაში სწავლისთვის 2250 ლარი გადაიხადა. სარემონტო სამუშაოებისთვის კი, ოჯახს 7200 ლარის გასავალი ჰქონდა.

reportiori.ge

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართული ღვინოები აშშ-ში: სიახლიდან აღიარებამდე

ჟურნალმა „ფორბსმა“ ქართული ღვინოები დაასახელა „ცხრა საუკეთესო ღვინოსა და მაგარ სპირტიან სასმელებს შორის, რომელთა სმაც ღირს დავიწყოთ 2015 წელს“

ქართველმა მეღვინეებმა დაიწყეს ახალი ბაზრების აქტიური ძებნა მას შემდეგ, რაც 2006 წელს რუსეთმა შემოიღო ემბარგო საქართველოში წარმოებული ღვინოების თითქმის 80 პროცენტის შემოტანაზე. ბევრმა ეს მიიჩნია ერთგვარ „სასჯელად“ ამ ქვეყნის მიერ დაკავებული პროდასავლური პოზიციის გამო. დღეს ქართული ღვინოები 42 ქვეყანაში იყიდება, ჟურნალმა „ფორბსმა“ კი ისინი ჩართო „ცხრა საუკეთესო ღვინოებსა და სპირტიან სასმელებს შორის, რომლებიც შეიძლება გავსინჯოთ 2015 წელს“. ღვინოები საქართველოდან პოპულარობით სარგებლობენ ამერიკის დედაქალაქშიც.

Voice of America

პოლონეთმა იდეზერტირა, საქართველო რუსეთის შესაჭმელად დაუტოვა

„ფრონდა.პლ: რუსეთის დუმამ მოახდინა სეპარატისტულ აფხაზეთთან მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების რატიფიცირება. შეიძლება უკვე ვისაუბროთ ამ ტერიტორიის ფაქტობრივი ანექსიის შესახებ?

კშიშტოფ შჩერსკი: ეს არის მომდევნო ნაბიჯი 2008 წლის საქართველოსთან ომის შედეგად მოპოვებული ტერიტორიის განმტკიცებისკენ. რუსეთი გამოიყენებს მოქმედებათა კლასიკურ მოდელს: თავს დაესხმის, შემდეგ ისწრაფვის კონფლიქტის გაყინვისკენ, ხოლო, თუ ეს შესაძლებელია — ახდენს ტერიტორიის ანექსირებასაც. აფხაზეთი აღიარა მხოლოდ მოსკოვმა, ასე რომ, მას არა აქვს უფლება გააფორმოს დამოუკიდებელი ხელშეკრულებები. მაგრამ დე ფაქტო იგი უკვე რამდენიმე წელია, რუსეთის კონტროლის ქვეშაა, და კრემლი მიდის კიდევ იქით, რათა ეს კონტროლი გააძლიეროს.

— შეგვიძლია ველოდოთ, რომ რუსეთი კვლავაც შეეცდება გააფართოოს თავისი ტერიტორია საქართველოს ხარჯზე?

— იგი აუცილებლად გააგრძელებს რაიონების დესტაბილიზაციას თავის საზღვართან. ეს არ არის აუცილებელი, რომ იყოს საქართველო. საქართველოს მხრიდან ამჟამად არ უნდა ველოდოთ რაიმე რეალურ პასუხს. თბილისმა იცის, რომ იგი უძლურია: შექმნილ სიტუაციაში იგი ვერ ღებულობს ვერანაირ საერთაშორისო დახმარებას, რაც, თავის მხრივ, ძლიერ შეშფოთებას იწვევს. მოსკოვი შეეცდება კვლავ გააჩაღოს ცეცხლი კავკასიაში. პროვოკაციულ მოქმედებებს შეიძლება ველოდოთ ასევე მოლდოვურ დნესტრისპირეთში. რუსეთი უკან არ დაიხევს არც ერთ ველზე: იგი გააგრძელებს თავის აგრესიულ იმპერიულ პოლიტიკას.

— თქვენ თქვით, რომ საქართველოს არა აქვს საერთაშორისო დახმარება. რატომ?

— დასავლეთში ასეთი მოქმედებისთვის ნებისყოფა არ ჰყოფნით. 2008 წლიდან პოლიტიკაში ბევრი რამ შეიცვალა. მაშინ, უწინარეს ყოვლისა, ნეტარხსენებული ლეხ კაჩინსკის მოქმედების წყალობით მსოფლიომ გამოიღვიძა. ახლა კი აღარავინაა, ვინც ისეთ როლს იკისრებდა, რასაც ასრულებდა მაშინ კაჩინსკი. ერთ-ერთ თავის პირველ საერთაშორისო გამოსვლაში პრეზიდენტმა ბრონისლავ კომოროვსკიმ თქვა, რომ საქართველო უკვე აღარ არის მნიშვნელოვანი პარტნიორი პოლონეთის საგარეო პოლიტიკაში. პოლონეთი არ ასრულებს მნიშვნელოვან როლს საქართველოს კონფლიქტში სმოლენსკის ტრაგედიის მომენტის შემდეგ. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთი ევროპის ქვეყნებშიც აღარ ჰყოფნით ნებისყოფა მოქმედებებისთვის. თავად საქართველომაც განიცადა სერიოზული პოლიტიკური ცვლილებები. ხელისუფლებაში იქ უკვე აღარ არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ქვეყნის მომავალს მხოლოდ დასავლეთთან კავშირში ხედავენ. ჩვენ გვახსოვს, რომ 2008 წელს სერიოზულად განიხილებოდა ნატოში საქართველოს წევრობის შესაძლებლობანი. ამჟამად ეს, პრინციპულად, სრულიად შეუძლებლად გეჩვენება.

— როგორი უნდა იყოს პოლონეთის რეაქცია რუსეთ-აფხაზეთის შეთანხმების რატიფიკაციაზე?

— არა მხოლოდ ამ კონტექსტში, არამედ ყოველივესთან დაკავშირებით, რასაც რუსეთი აკეთებს, პოლონეთმა უნდა მოითხოვოს საერთაშორისო სამართლის დაცვა. ჩვენ უნდა დავსვათ ეს თემა საერთაშორისო არენაზე. გასაგებია, რომ ამჟამად რუსეთთან კონფრონტაციაში მკაცრ ველზე მზად არავინ არ არის. მაგრამ ჯერ კიდევ რჩება მსუბუქი ველი, ესე იგი, საერთაშორისო სამართალი, რომელსაც რეგულარულად არღვევს მოსკოვი. სამწუხაროდ, პოლონეთი საერთოდ არ იყენებს შესაძლებლობას, გამოიწვიოს რუსეთი „დაფასთან“ ამ საკითხის გამო.

— რატომ არის რუსეთისთვის ასეთი მნიშვნელოვანი დაიკავოს სწორედ აფხაზეთი?

— უწინარეს ყოვლისა, საკითხი შეეხება კონტროლს კავკასიის გავლით ენერგორესურსების მიწოდების გზებზე. რუსეთს სჭირდება შუა აზიიდან ევროპაში სამხრეთ არხზე ტრანზიტის თვალყურის დევნება. ჯერჯერობით ირანის სტატუსი რჩება ისეთი, როგორიც არის (ესე იგი, იზოლირებული სახელმწიფოსი), სანამ ერაყში მიმდინარეობს ომი ისლამურ სახელმწიფოსთან და ერთადერთ სატრანზიტო მარშრუტად ნედლეულისთვის რჩება გზა კავკასიის გავლით. 2008 წელს რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, რათა არა მხოლოდ დაბლოკოს მისი ინტეგრაცია დასავლეთთან, არამედ იმისთვისაც, რომ თავის კონტროლქვეშ აიყვანოს ხსენებული სატრანზიტო მარშრუტი. ამას გარდა, აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს ან რუსეთის ფედერაციის ნაწილს, მოსკოვისთვის აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა. ჩვენ გვახსოვს ასევე, რომ პუტინის რუსეთმა სრულიად გაძარცვა იგი სოჭში ოლიმპიადისთვის მზადების დროს: ოლიმპიური სოფელი შენდებოდა მასალებისგან, რომლებიც მოპარული იყო აფხაზეთში, მაშინ ეს რეგიონი გამოიყენებოდა, როგორც ბაზა.

— არის ჯერ კიდევ რეალური, რომ საქართველომ დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები?

— როგორც უკვე მოგახსენეთ, საქმე გვაქვს კონფლიქტის კლასიკურ გაყინვასთან. ამჟამად არ არსებობს შესაძლებლობა, დავუბრუნოთ საქართველოს მთლიანობა ძალით. კონფლიქტი შეიძლება გადაიჭრას, ჯერ ერთი, თუ რადიკალურად შეიცვლება რუსეთის პოლიტიკა: წავა გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოზე თავდასხმისთვის, რუსეთი კი დაუბრუნდება დემოკრატიულ სტანდარტებს. მეორეც, იგი შეიძლება გადაიჭრას საერთაშორისო სამართლის დაცვისკენ დაბრუნების გზით. მაგრამ ამისთვის უნდა ვაიძულოთ მთელი საერთაშორისო გაერთიანება.

fronda.pl
PORTAL POŚWIĘCONY beta

დედამიწის ზურგზე

ლუკაშენკომ „სამხედრო მდგომარეობის შესახებ“ ახალი კანონის დახმარებით გააუქმებლა ბელარუსი „ყირიმის სცენარისგან“

ბელარუსის თავდაცვის სამინისტრო აცხადებს განზრახვის შესახებ — გაითვალისწინოს ნატოს გაძლიერება ბალტიისპირეთში, მეთვალყურეები კი ამბობენ, რომ მინსკს ეშინია არა მხოლოდ დასავლეთის, არამედ რუსეთისაც. უახლოეს პერიოდში ლუკაშენკოს განზრახული აქვს შეხვდეს პუტინს, რათა მას ფული სთხოვოს. სამაგიეროდ, მოსკოვს შეუძლია მოითხოვოს მინსკისგან — გაძლიეროს პოლიტიკური მხარდაჭერა.

მერკელმა ოსვენციმის მსხვერპლთა ხსოვნის ცერემონიაზე შეგვახსენა, თუ ვინ გაათავისუფლა საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეები

„ეს დიდი ღირსებაა ჩემთვის — ვიყო დღეს თქვენთან ერთად. იმის შესაძლებლობა, რომ ვილაპარაკო თქვენთან, აღმავსებს მადლობის გრძნობით. ხვალ სრულდება 70 წელი ბანაკ აუშვიცბირკენაუს გათავისუფლების დღიდან საბჭოთა ჯარების მიერ“, — განაცხადა კანცლერმა წინა დღით, როდესაც ოსვენციმში გამოდიოდა.

ფიდელ კასტრომ განაცხადა, რომ მაინც არ ენდობა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას, რომელმაც მოანესრიგა ურთიერთობა კუბასთან

კუბის რევოლუციის ლიდერმა პირველად გაუკეთა კომენტარები ვაშინგტონსა და ჰავანას შორის ურთიერთობათა გაუმჯობესებას. „ჩვენ ყოველთვის დავიცავთ თანამშრომლობას და მეგობრობას მსოფლიოს ყველა ხალხთან, მათ შორის, ჩვენს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთანაც. ეს არის ის, რისთვისაც ჩვენ ვიბრძვით და ვიბრძვით ყველასთვის“, — თქვა მან.

კომერციული გაფაჯიდვები „ნასას“ მილიონობით დოლარს დაუზოგავს ეკიპაჟების კოსმოსში გაგზავნით

ერთი კოსმონავტის საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე მიყვანა ხომალდების დახმარებით, რომლებიც აგებულია „ბოინგისა“ და „სპეისიქსის“ მიერ, დაჯდება დაახლოებით 58 მილიონი დოლარი — ეს 12 მილიონით ნაკლებია, ვიდრე გადაფრენა რუსულ „სოიუზებში“, რომლებიც ამჟამად ეკიპაჟების გადაყვანის ერთადერთი საშუალებაა. გეგმების მიხედვით, კერძო — სახელმწიფო კოსმოსური პროგრამა უნდა ამოქმედდეს უკვე 2017 წელს.

მან ენგურჰესი გადაარჩინა

გიორგი მიქავას მოსაგონარი

გიორგი მიქავა – ენერგეტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ორგზის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, ღირსების ორდენის კავალერი, შპს ენგურჰესის გენერალური დირექტორი 1983-2003 წლებში.

ბატონმა გიორგი მიქავამ ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებში დაიწყო ენერგეტიკის სისტემაში მუშაობა, სადაც განვლო სამაგალითო და შემოქმედებით აღსავსე გზა რიგითი ინჟინრიდან გენერალურ დირექტოროობამდე გარდაბნის თბოელექტროსადგურსა და ენგურჰესში.

დაიბადა 1929 წლის 10 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონი სოფ. ჩხორიაში. მშობლიურ სოფელში წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, 1951 წელს კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკის ფაკულტეტი. მისი ღვაწლი ქვეყნის ენერგოსისტემის განვითარების საქმეში უდავოდ დიდია. მან როგორც უდიდესმა პროფესიონალმა და თავისი საქმის უსაზღვროდ მოყვარულმა, საქართველოს შეუნარჩუნა ენერგეტიკის ფლაგმანი – ენგურის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი.

ქართველებსა და აფხაზებს შორის კონფლიქტის დროს, როცა ყველა იარაღიანი თუ უიარაღო ტოვებდა საკუთარ სახლ-კარს, გიორგი მიქავა დარჩა სადგურში რამდენიმე თანამშრომელთან ერთად და სიცოცხლის ფასად გადაარჩინა ენგურჰესი, რომელიც ქვეყანაში, მაშინაც და ახლაც ელექტროენერგიის ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელია.

ბატონი გიორგი მიქავა იყო ძალიან მკაცრი და პრინციპული, მაგრამ საოცრად თბილი, კეთილი და გულისხმიერი. მან წარუშლელი კვალი დატოვა ენერგეტიკის სისტემაში. რომ არა მისი დიპლომატიური და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება საქმისადმი, ენგურჰესის, რომელიც საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს, ექსპლუატაცია ვერ განხორციელდებოდა.

მახსოვს, ერთ დღეს, ჩემთან მოვიდა გიორგის ყოფილი მასწავლებელი და შემდგომში ზუგდიდის რაიონის სოფ. ჩხორიის საშუალო სკოლის დირექტორი, აწ განსვენებული ბ-ნი გიორგი ფიფია და მთხოვა წიგნის გამოსაცემად ფინანსური დახმარება. ვინაიდან იმ პერიოდში საწარმოს ფინანსური საკითხების განკარგვა ჩემს სამსახურებრივ მოვალეობაში არ შედიოდა, მივმართე გენერალურ დირექტორს ბ-ნ გიორგი მიქავას. პირველივე შეხვედრაზე უარით გამისტუმრა: – **„ჩვენ ამის საშუალება არა გვაქვს და არც ვართ ვალდებული ვინმე ფიფიას ფული ვუხადოთ“**. საგონებელში ჩავვარდი. არ ვიცოდი, რა პასუხი გამეცა იმ უაღრესად პატიოსან და უგანათლებულეს პიროვნებაზე. რამდენიმე დღის შემდეგ ბ-ნი გიორგი მიბარებს კაბინეტში და მეუბნება: **„ის კაცი ჩემი მასწავლებელი იყო, როცა ჩხორიის საშუალო სკოლაში ვსწავლობდი და მეორეჯერ სათხოვნელად არასოდეს არ მოვა და ვერც იმას დაიჯერებს, რომ ენგურჰესს არ შეუძლია ერთი წიგნის გამოცემის დაფინანსება. რომ შემხვდება, როგორ შევხედო მას თვალებში“**. თქვა ეს და ჩემსკენ გამოიხედა, თითქოს დასტურს მთხოვდა, თუმცა, მას ამ საქმეში ჩემი თანხმობა არაფერში არ სჭირდებოდა. მივხვდი, რომ იმ მომენტში რაღაც მეც უნდა მეთქვა და მხოლოდ ორი სიტყვა ვუთხარი – „მართალი ბრძანდებით-მეთქი“. ასე გადაწყდა გიორგი ფიფიას წიგნის გამოცემისათვის საჭირო თანხის გამოყოფის საკითხი.

როცა იგი საწარმოო თათბირს ატარებდა, ხშირად მიმართავდა ხოლმე თანამშრომლებს: **„გახსოვდეთ, რომ თქვენ, აფხაზეთში, გალის რაიონში მოპოვებული ჯამაგირით არჩენთ თქვენს ოჯახებს და ყოველთვის დაიფასეთ ეს მიწა და აქაური ხალხი“**. ამას იგი იმეორებდა უფრო მაშინ, როცა ბრუნდებოდა გალის რაიონის საბჭოს აღმასკომის სხდომიდან, რომლის უცვლელი წევრი იყო წლების განმავლობაში. მას გალის რაიონის ხელმძღვანელობა უდიდეს პატივს სცემდა.

ბ-ნ გიორგის კიდევ ბევრი სიკეთის გაკეთება შეეძლო, უდროოდ რომ არ ეღალატა მისთვის ჯანმრთელობას. მიუხედავად მედიცინის დარგის მუშაკების დიდი ძალისხმევისა, მისმა გულმა ვერ გაუძლო ამ ცხოვრებას და 2003 წლის იანვარში გარდაიცვალა.

სხვათაშორის, ერთ გარემოებას მინდა, ხაზი გავუსვა: გიორგი მიქავა დაბადებული იყო 10 ოქტომბერს და გარდაიცვალა იანვრის თვეში. დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, 85 წლის იქნებოდა (საიუბილეო თარიღია, ხომ?).

ენგურჰესების კასკადის პირველი დირექტორი, ბ–ნი შოთა მაისურაძე, დაბადებული იყო იანვარში და გარდაიცვალა 2014 წლის ოქტომბრის თვეში, 70 წლის ასაკში (ესეც საიუბილეო თარიღია). დაიკრძალა თბილისში 10 ოქტომბერს. საოცარი დამთხვევებია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები!

ბ-ნი გიორგი მიქავა იმ მამულიშვილთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც თავიანთი პიროვნული ღირსებები და მამაცობა განსაკუთრებით გამოავლინეს სამშობლოს ძნელბედობის ჟამს.

ერთ-ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში საქართველოს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი (1995-1997 წ.წ.), ბ-ნი დავით ზუბიტაშვილი ბრძანებს: **„თუკი რომელიმე პიროვნებამ დატოვა ჩემში წარუშლელი კვალი თავისი პროფესიონალიზმით, კაცობითა და სამშობლოსათვის თავდადებით, უპირველეს ყოვლისა, იყო ბ-ნი გიორგი მიქავა.**

ენერგეტიკის სამინისტროში კოლეგიის სხდომა ტარდებოდა და, როგორც წესი, ბ-ნი გიორგიც ესწრებოდა. რომელიღაც საკითხზე დისკუსია დიდხანს გაგრძელდა. გიორგი ასაბუთებდა ერთს, მეორე პიროვნება კი – სხვას. ამ უკანასკნელმა გაცხარებით მიმართა ბ-ნ გიორგის: „რა გადაგვაყოლე ამ შენს ენგურჰესის დირექტორობას“. არავინ არ ელოდა საკითხის ამგვარ დაყენებას. ამ სიტყვების მთქმელიც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ბ-ნმა გიორგიმ მისთვის ჩვეული თავაზიანობით ბოდიში მოიხადა და ოპონენტს მიმართა: – „შვილიშვილი თუ გყავს?“ პასუხი იყო: „რა თქმა უნდა, მყავს და ერთი სული მაქვს სახლში როდის მივალ, რომ ვნახო“. – „მე კი ჩემი ერთ-ერთი შვილიშვილი აფხაზეთში მძევლად დამატოვებინეს, აქეთ რომ გადმოვსულიყავი და კოლეგიის სხდომას დავსწრებოდი“, – ბრძანა და დაჯდა. დარბაზი გაირინდა, ბ-ნი გიორგისადმი უდიდესი მადლიერება და პატივისცემა ყველამ თავდახრით გამოხატა“.

„საქართველოს ენერგეტიკის სინდის-ნამუსი“ უწოდა ბ-ნ გიორგი მიქავას, ნიჭიერებითა და განათლების დონით გამორჩეულმა გალელმა, აწ განსვენებულმა, ბ-ნმა რენალდ დგებუაძემ. მან ასე დაახასიათა იგი ერთ-ერთ სტატიაში: **„ბ-ნი გიორგი ხატივით კაცი იყო, ზნესრული და ზნეკეთილი. იგი თავის გარშემო ასხივებდა კეთილშობილებას, სითბოს, სიკეთესა და უშურველობას. კაცური კაცის ღირსებები, კოლხური მორალი და ეთიკა გენით მოსდგამდა ვაჟკაცი და ამაყი გლეხი მიქავების შთამომავალს. მის, როგორც ხელმძღვანელის, წარმატებებს განაპირობებდა კოლექტივისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განსაკუთრებული სტილი, რომელიც თავისუფალი იყო ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური და ტექნოკრატიული გაუცხოების სინდრომისაგან. არა მარტო მისი კოლექტივის წევრები, არამედ ენგურჰესის მიმდებარე სოფლების თავკაცები, მცხოვრებლები მასთან თავისუფლად მიდიოდნენ (დახმარებას სთხოვდნენ) მტკივნეული სოციალური საკითხების მოსაგვარებლად. გიორგი მიქავას ავტორიტეტი, რომელიც ემყარებოდა მის უმდიდრეს გამოცდილებას, უმწიკვლო პირად ზნეობრივ თვისებებსა და ადამიანებთან ურთიერთობის მისეულ ხელოვნებას, ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებდა ენგურჰესის სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფაში. მისმა შეუვალმა მორალურმა და ადმინისტრაციულმა ავტორიტეტმა გადაარჩინა ენგურჰესი გაძარცვა-გაპარტახებას 90-იანი წლების უკონტროლობის, ნგრევის, ქაოსისა და კრიმინალური ძალების განუკითხავი თარეშის პერიოდში“.**

შპს ენგურჰესის ტექნიკური დირექტორი, ინჟინერი და მწერალი ბ-ნი გია ხუბუა თავის მოთხრობაში **„პატიოსანი ადამიანები“** მთავარ გმირად წარმოგვიდგენს ბ-ნ გიორგი მიქავას. მოგვითხრობს 1992-1995 წლებში მომხდარი ამბების ეპიზოდებს. იგი იხსენებს: **როცა ძალიან გაგვიჭირდებოდა და გულგატეხილობა დაგვეუფლებოდა, გიორგი მიქავა თავის კაბინეტში შეგვკრებდა უახლოეს თანამებრძოლებს, არაყს ჩამოგვისხამდა, ჭიქას მიგვიჭახუნებდა და მამაშვილურად გვეტყოდა – „მოვითმინოთ კიდევ ცოტა და უახლოეს პერიოდში მდგომარეობა გამოსწორდება“. მის ხმაში ისმოდა იმედიც, წუხილიც, თხოვნაც. ყოველი ასეთი შეხვედრის შემდეგ თითქოს ახალი ენერგიით ვიმუხტებოდით.**

მიუხედავად იმისა, რომ დღეს 85 წლის იქნებოდა, ჩვენს მეხსიერებაში იგი დარჩა შედარებით ახალგაზრდა, ენერგიული, შემართული, მოწესრიგებული, გულანთებული, თავდადებული თავისი საქმისა.

ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ თითქმის 19 წლის განმავლობაში მის მოადგილედ მომიწია მუშაობა. ის ფარივით წინ გვედგა ყველას და გვიცავდა, როგორც ფიზიკურად, ასევე მორალურადაც.

ბ-ნი გიორგი იყო მაღალი ინტელექტისა და კულტურის ადამიანი, კეთილშობილობით შემკული კაცი. მისი სუფთა და უმწიკვლო ბიოგრაფიის მანძილზე აღიარება, დიდება და დაფასება არ აკლდა, მაგრამ არც ერთ თანამდებობას არ შეუცვლია იგი, დარჩა ისეთად როგორიც იყო. საკუთარ კეთილდღეობაზე ნაკლებად ზრუნავდა. მუდამ მზად იყო, დახმარებოდა გაჭირვებაში მყოფთ. იცხოვრა თავმდაბლად და მოკრძალებულად, სწორედ ამიტომ პატივს სცემდა და აფასებდა ყველა.

მახსოვს, ე. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, ბ-ნი გიორგი გამოიძახეს სახელმწიფო კანცელარიაში, მთავრობის საგანგებო სხდომაზე, სადაც სიტყვით უნდა გამოსულიყო. მის მიერ შედგენილი თეზისების მიხედვით დამევალა გამოსვლის ტექსტის მომზადება. მრავალჯერადი კორექტირებისა და შესწორებების შემდეგ ტექსტი მივიყვანეთ სრულ კონდიციამდე.

სხდომაზე რიგით მეხუთედ უნდა გამოსულიყო. მეოთხე გამომსვლელმა როგორც კი დაამთავრა სიტყვა, ბ-ნი გიორგი უკვე მზად იყო ტრიბუნაზე ასასვლელად, მაგრამ მოხდა ისე, რომ მიქავას ნაცვლად გამოაცხადეს სულ სხვა პიროვნება, რომელსაც ენერგეტიკასთან კი ჰქონდა შეხება, მაგრამ ენგურჰესის ექსპლუატაციის ნიუანსებში სრულად ვერ ერკვეოდა. ენერგოსისტემიდან მოწვეული წარმომადგენლები გაოცებას ვერ მალავდნენ მომხდარის გამო. სხვა რომ ყოფილიყო, შეიძლება ერთი ამბავი აეტეხა, მიქავა კი ყველაფერს ამას ძალიან მშვიდად შეხვდა. მერე მითხრა: **„შეიძლება ასე ჯობდა, ვინაიდან მე არაფერს არ დავმალავდი, რაც ძალზე მტკივნეული იქნებოდა ჩვენი ხელმძღვანელობისთვის, მან კი ძალიან მოზომილად და დალაგებულად ილაპარაკა“**.

დასანანია, რომ ბატონი გიორგი ვერ მოესწრო ენგურჰესის რეაბილიტაციას, რომელსაც მისი უშუალო თაოსნობით მიეცა დასაბამი და იმ სასიკეთო ძვრებს, რაც ამჟამად ხდება. იგი ძალიან გაიხარებდა ენგურჰესის განახლებით.

გიორგი მიქავას შეეძლო მნიშვნელოვნად დადებითი მუხტი შეეტანა ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენის საქმეში, ურთიერთობის დალაგებაში, მას ამის პოტენციური შესაძლებლობა გაჩნდა. აფხაზები ერთ მაგიდაზე დასხდებოდნენ მასთან სალაპარაკოდ. სამწუხაროდ, მაშინდელმა ხელისუფლებამ ეს უნიკალური შესაძლებლობა არ გამოიყენა.

წლების განმავლობაში დაგროვილმა სტრესმა თავისი ქნა და შესაშური ჯანმრთელობის კაცი ერთბაშად წაიქცა. ვფიქრობ, გიორგი მიქავას ღვაწლი სრულფასოვნად დაფასებული არ არის.

2007 წელს ჩემი თანაავტორობით გამოიცა წიგნი „ენგურჰესი“ (პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი), რომელშიც მოთხრობილია ენგურჰესის დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ისტორია, სადაც გიორგი მიქავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის რამდენიმე ეპიზოდია მოცემული, მაგრამ ეს მისი ბიოგრაფიის მხოლოდ მცირე ნაწილია და, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის.

ალბათ, გამოჩნდებიან ადამიანები და მჯერა, რომ დაიწერება ქართული ენერგეტიკის უახლესი ისტორია, რომელშიც ბ-ნი გიორგი მიქავას სახელი გამორჩეულად აღინიშნება.

ნუგზარ სართანია,
შპს ენგურჰესის გენერალური დირექტორის მოადგილე 1986-2005 წლებში, ადმინისტრაციული და საერთო საკითხების მენეჯერი.

◎ ალიანჩალიანი

სახლი დევნილი ოჯახებისთვის

იძულებით გადაადგილებულ 109 ოჯახს უახლოეს პერიოდში ახალი საცხოვრებელი სახლი ექნება. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 109-ბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია განახორციელა.

უწყების ინფორმაციით, ოცხელის ქუჩაზე მდებარე ყოფილი საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაცია მუნიციპალური განვითარების ფონდმა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID-ის) დაფინანსებით განახორციელა. „სამუშაოები, რომელიც შარშან დაიწყო, ცოტა ხნის წინათ დასრულდა. 109 ბინიდან უმრავლესობა ოროთახიანი, 46 ბინა-ერთოთახიანი, 12 ბინა კი-სამოთახიანია. აღსანიშნავია, რომ 6 ბინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სრულად ადაპტირებულია. საცხოვრებელი კორპუსი და გარე ინფრასტრუქტურაც ასევე სრულად არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის. ყველა საცხოვრებელ ბინას ინდივიდუალური სააბაზანო და სველი წერტილი აქვს. სამზარეულოში დამონტაჟდა წყლისა და გაზის გამათბობლები. ეზოში მოეწყო პარკინგი და სათამაშო ატრაქციონები. დამონტაჟდა გარე განათება, დეკორატიული სანათები, სანაგვე ურნები და სხვა საჭირო ატრიბუტიკა“, – აცხადებენ სამინისტროში.

◎ ნდობა

თავში ნუ აგვივარდება

ალბათ, ბევრი იფიქრებს, რას მიედ-მოედება ამ სტრიქონების ავტორიო, მაგრამ ფაქტს ვერსად წავუვალთ: საქართველომ საფეხბურთო დუელში ინგლისი, გერმანია და ესპანეთი დაამარცხა.

ვისაც ეჭვი ისევ ეპარება, დავაზუსტებ: ეს ამბავი უეფას შტაბ-ბინაში მოხდა, სადაც 19-წლამდელთა ევრო — 2017-ის ფინალური რაუნდის მასპინძლობის უფლება ჩვენმა ქვეყანამ სწორედ აღნიშნულ მრისხანე მეტოქეებთან კონკურენციაში მოიპოვა. დაგვთანხმებით, ეს უპირველესად ქართული ფეხბურთის მდიდარი ისტორიისა და თაობათა მიერ საერთაშორისო სარბიელზე მოხვეჭილი ავტორიტეტის დამსახურებაა, თორემ აწმყოთი საამაყო რომ ბევრი არაფერი გვაქვს, ფიფას ტრადიციულ რეიტინგში „ჯვაროსანთა“ ქრონიკული რეგრესიც ადასტურებს. სავალალო სურათს ვერც წლეულს 11 აგვისტოს დედაქალაქის ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ ევროპის სუპერთასის მატჩის დანიშვნა აფერადებს — არა მგონია, მიშელ პლატინის მიერ გადმოგდებულმა სამადლო ლუკმებმა ეროვნული ჩემპიონატის ქვის ხანის დროინდელი დონე და ჯერაც მოშლილი ინფრასტრუქტურა გადაწონოს.

რაც შეეხება მომავალ ფორუმს, მისი შეხვედრები თბილისში, გორში, მცხეთასა და რუსთავში გაიმართება, თანაც ჩვენი სამშობლოს ძველ სატახტოსა და მეტალურგიულ ცენტრში ხელოვნურსაფარიანი გაზონები ბუნებრივით უნდა შეიცვალოს.

დარჩენილ ორ წელიწადში კიდევ უფრო სტახანოვური ტემპებითაა ასაშენებელი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროებიც, თუმცა ერთი რამ ახლავე შეგვიძლია მივულოცოთ თანამემამულეებს და მათ გულშემატკივრებს: როგორც ტურნირის ორგანიზატორი, საქართველოს ნაკრები ავტომატურად, შესარჩევი ციკლის გარეშეა დაშვებული დასკვნით ეტაპზე და კონტინენტის რვა რჩეულ გუნდს შორის ითამაშებს, ეს კი პატივთან ერთად გოჩა ტყეებუჩავასა და გიორგი ნემსაძის შეგირდებს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებთ.

გია პლატონიშვილი

◎ ფიგურული ციგურაობა

საქართველო - სამ დისციპლინაში

დღეს სტოკჰოლმში (შვედეთი) მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყება. საქართველოს წარმომადგენლები სამ დისციპლინაში მოსინჯავენ ძალებს. ესენი არიან: ელენე გედევანიშვილი (ქალები), არმენ აგაიანი (ვაჟები), ტატიანა კოზმოვა და ალექსანდრ ზოლოტარიოვი (ცეკვები).

კალენდარი

28 იანვარი. ვაჟები (მოკლე პროგრამა), ცეკვები (მოკლე პროგრამა),

29 იანვარი. ქალები (მოკლე პროგრამა), ცეკვები (თავისუფალი პროგრამა),

30 იანვარი. წყვილები (მოკლე პროგრამა), ვაჟები (თავისუფალი პროგრამა),

31 იანვარი. ქალები (თავისუფალი პროგრამა),

1 თებერვალი. წყვილები (თავისუფალი პროგრამა).

გივი გაგუა

◎ ფარიკაობა

პატივი მიაგეს ამაგდარის ხსოვნას

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონისა და თასის მფლობელ ლევან კირკიტაძის მემორიალი კადეტ მოფარიკავეთა შორის (1998 წელსა და უფრო გვიან დაბადებულნი). მედლებისთვის სხვადასხვა რეგიონის 70-მდე წარმომადგენელი იბრძოდა. ლევან კირკიტაძის სახელობის სპეციალური პრიზი ოზურგეთელ ლუკა მეგრელიშვილს გადაეცა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკზე ავიდნენ:

ქუთაისში სამ დღეს გრძელდებოდა სპორტის დამსახურებული მოღვაწის, დაშნით ფარიკაობაში

ხმალი

ვაჟები: 1. ვაჟა რეჭია, 2. დავით კვერნაძე, 3. ნიკა ჭეიშვილი, ცოტნე ხომერიკი (ოთხივე-ქუთაისი); **გოგონები:** 1. მარიამ ფხაკაძე (ქუთაისი), 2. მარიამ აფციაური, 3. ლიკა ჯიჯეიშვილი, ანა აფრასიძე (სამივე-თბილისი).

რაპირა

ვაჟები: 1. ლაშა გალუაშვილი (თბილისი), 2. გიორგი ჭუმბურიძე, 3. თორნიკე ჩორგოლაშვილი (ორივე-ქუთაისი), თემურ ჯუჯუნაშვილი (რუსთავი); **გოგონები:** 1. მარიამ ხუციშვილი (რუსთავი), 2. ანა მელია (თბილისი), 3. ანა ხელაძე (ქუთაისი), ნატალია შუბითიძე (ზესტაფონი).

დაშნა

ვაჟები: 1. ლუკა მეგრელიშვილი (ოზურგეთი), 2. ჯიბო შონია, 3. კახა მიქაძე (ორივე-ქუთაისი), გელა მჟავია (ოზურგეთი); **გოგონები:** 1. ანა ბიბიჩაძე, 2. ნინო გაბუნია, 3. მარი გრიგალაშვილი (სამივე-ქუთაისი), თამარ კვაჭანტირაძე (ოზურგეთი).

ლექსო ციინცაძე

◎ ჩოგბურთი

პირველი ზონა ბუდაპეშტში მოიყრის თავს

საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრებმა შარშან ფედერაციის თასზე მეორე ევროაფრიკულ ზონაში ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო და პირველ ზონაში აღზევდა. 4 თებერვლიდან ამ ჯგუფის 15 გუნდი ბუდაპეშტში მოიყრის თავს. უნგრეთის დედაქალაქში მოასპარეზენი წილისყრით ოთხ ჯგუფში გადანაწილდნენ.

A ჯგუფი: სერბეთი, უნგრეთი, ავსტრია.

B ჯგუფი: დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, თურქეთი, ლიხტენშტეინი.

C ჯგუფი: ბელარუსი, პორტუგალია, ბულგარეთი, საქართველო.

D ჯგუფი: ბელგია, ხორვატეთი, ისრაელი, ლატვია.

ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები მსოფლიო თასის II ჯგუფის ორი საგზურისთვის დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ხოლო ბოლოადგილოსნები პირველ ევროაფრიკულ ზონაში დასარჩენად იბრძოლებენ.

C ჯგუფის შეხვედრათა კალენდარი ასეთია:

4 თებერვალი. საქართველო-ბელარუსი, ბულგარეთი-პორტუგალია.

5 თებერვალი. საქართველო-პორტუგალია, ბელარუსი-ბულგარეთი.

6 თებერვალი. საქართველო-ბულგარეთი, ბელარუსი-პორტუგალია.

საქართველოს ნაკრები ფედერაციის თასის გათამაშებაში ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: სოფიო შაფათავა, ეკატერინე გორგოძე, ოქსანა კალაშნიკოვა, მარიამ ბოლქვაძე, მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი (კაპიტანი).

ლაშა დიდია

სურათზე: საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა შარშანდელი ნაკრები. მარცხნიდან — სოფიო შაფათავა, სოფიო ქვაცაბაია, ოქსანა კალაშნიკოვა, მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი, ეკატერინე გორგოძე.

◎ კალათბურთი

შერმადინმა ვარეზელებთან 6 ქულა მიითვალა

იტალიის ჩემპიონატის მე-16 ტურის დასკვნით მატჩში გიორგი შერმადინის „კანტუმ“ „ვარეზე“ 91:83 დაამარცხა და მე-8 ადგილზე გადაინაცვლა.

ქართველი ცენტრი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 21 წუთში 6 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა. შერმადინმა 4-დან 2 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 3-ჯერ დაკარგა, ერთხელ დაუფარეს, 4 პერსონალური ფოული მიიღო, მის წინააღმდეგ კი 3-ჯერ დაჯარიმდნენ.

ისიც ვთქვათ, რომ გიორგის მოედანზე ყოფნის პერიოდში მასპინძლებმა მეტოქეზე 18 ქულით მეტი ჩააგდეს და ეს საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ.

კანტუელთა გამარჯვებაში ლომის წილი ამერიკელმა დეკუან ჯონსმა დაიდო, რომელმაც 33 წუთში 26 ქულა, 7 მოხსნა და 5 პასი მოაგროვა.

შერმადინის კლუბმა 7 მოგება და 9 მარცხი მოაგროვა და, როგორც აღვნიშნეთ, მე-8 პოზიციას უწია, მომდევნო მატჩს კი 1 თებერვალს სტუმრად „სიდიგას აველინოსთან“ გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ბელენ როდრიგესს მეგი თავისუფლება სურს

ვეტერანი არგენტინელი ფეხბურთელის ხუან რომან რიკელმეს ყოფილ სატრფოს, მის თანამემამულე მოდელ ბელენ როდრიგესს ნიფხვისამარა ტანტალი და თამამი ფოტოგადაღებები ყოველთვის უყვარდა და მისი საწმერთულშემოძარცვული სხეული ვის არ უნახავს და ვის არ აღმოხდენია გულდარდიანი ოხვრა...

ამ ბოლო დროს ბელენმა მთლად გადარია მისი ფანები და განაცხადა, რომ მოსწყინდა მხოლოდ ფოტომოდელობა და მზადაა თავისი სითამამე კინემატოგრაფიაშიც გამოსცადოს, თუნდაც ეს „კინემატოგრაფია“ ოდენ უხამსი პორნოგრაფია იყოს და მეტი არაფერი.

საეჭვოა ამ ხელიხელსაგოგმანები ქალბატონის აღნიშნული სურვილი უპასუხოდ დარჩეს და ეროტიკული ფილმების რეჟისორებიც ალბათ მალე დაეხვევიან ვითარცა ბუზი თაფლს. რატომაც არა? ტანი აქვს სხვაზე ნაკლები, მკერდი თუ შინაგანი თავისუფლება? მორალისტობა არ გვინდა ახლა...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კანონი კანონია

ნეიმარი: რონალდუ უნდა დაისაჯოს

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების და კატალონიის „ბარსელონას“ თავდამსხმელი ნეიმარი კრიშტიანუ რონალდუს ქმედებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ პორტუგალიელი უნდა დაისაჯოს.

„კორდობასა“ და მადრიდის „რეალს“ შორის დაპირისპირების დროს პრიმერა დივიზიონის მე-20 ტურის მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ედიმარ ფრაგას ფეხი უთავაზა და მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა, შეხვედრის შემდეგ კი რონალდუმ თავისი „თვითერის“ გვერდზე ბოდიში მოიხადა.

„ფორვარდი პროვოკაციებს უნდა ელოდოს და წონასწორობა არ უნდა დაკარგოს. ზოგჯერ არ შეგვიძლია თავი მოვთოკოთ. რონალდუ უნდა დაისაჯოს აგრესიულობის გამო. მსგავსი რამ ზინედინ ზიდანსაც მოსვლია და მეც. 100%-ით დაზღვეული არავინაა, ასე რომ ჩვენ თავზე უნდა ვიფიქროთ. ვფიქრობ, პორტუგალიელი სასჯელს მიიღებს“, — განაცხადა ბრაზილიის ეროვნული ნაკრების კაპიტანმა.

მოსალოდნელია, რომ რონალდუ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტისგან ორ ან სამმატჩიან სასჯელს მიიღებს. თავად ნეიმარიც რამდენიმე წლის წინათ ძალადობაში იქნა მხილებული. “„სანტოსში“ თამაშის დროს ლიბერტადორესის თასზე ურუგვაის „პენიაროლის“ ერთ-ერთ ფეხბურთელს მან ფეხი ზურგში უთავაზა.

გიორგი ზოთაძე

◎ სოციუმი

კი არ მცირდება, იზრდებაო

ვაუჩერული დაპირისპირების ახალი ეტაპი

კომუნალური ვაუჩერების ირგვლივ ახალი დაპირისპირებაა. მერიამ ამტიკცებს, რომ მასახლეობა დედაქალაქის მთავრობისგან მეტ სარგებელს მიიღებს, ოპოზიცია კი საპირისპირო გამოთვლებითაა დაკავებული.

ნაცმოძრაობის მტკიცებით, თბილისში მოსახლეობის 60%-ზე მეტს კომუნალური ვაუჩერი შეუმცირდება, რადგან თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, მოსახლეობისთვის კომუნალური სუბსიდიის გაცემის ახალი წესი დამტკიცდა. საკრებულოს ოპოზიციური ფრაქციის ინფორმაციით, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის (გარდა იმ ოჯახებისა, რომლებიც რეგისტრირებულები არიან სოციალურად დაუცველთა ბაზაში და სარეიტინგო ქულა 70 000-მდეა) ყოველთვიურად გასაცემი კომუნალური ვაუჩერის ოდენობა შემცირდა. ვაუჩერის ოდენობა შეუმცირდა სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულ იმ 180 000-მდე თბილისელსაც, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-ზე მეტია. წინა ხელისუფლების პერიოდში დადგენილი წესით, ყოველთვიურად გასაცემი კომუნალური ვაუჩერის ოდენობა 20 ლარი იყო (8.45 ლარი — ელექტროენერგიის საფასურისთვის; 8.40 ლარი — დასუფთავების მოსაკრებლისთვის; 3.15 ლარი — წყლის საფასურისთვის).



„დავით ნარმანიას გადაწყვეტილებით, მოხდა კომუნალური ვაუჩერის დიფერენცირება ოჯახის სულადობის მიხედვით. შედეგად: ერთსულიანი აბონენტები მიიღებენ 14.1 ლარს; ორსულიანი აბონენტები — 16.6 ლარს; სამსულიანი აბონენტები — 19.1 ლარს. აღსანიშნავია, რომ თბილისში აღრიცხული დაახლოებით 385 000 აბონენტიდან 238 000-მდე ოჯახი შედგება სამი ან ნაკლები წევრისგან, ანუ თბილისში მცხოვრები მოსახლეობის (მათ შორის, სოციალურად მძიმედ გაჭირვებული) 60%-ზე მეტს კომუნალური ვაუჩერი შეუმცირდება“, — აცხადებენ საკრებულოს ფრაქციაში.

დეპუტატ ირაკლი აბესაძის განცხადებით მოსახლეობის მძიმე სოციალური ყოფის, ინფლაციის, ფასების ზრდის ფონზე ეს განსაკუთრებით მავნებლური გადაწყვეტილებაა და კატეგორიულად მოუწოდებეს დავით ნარმანიას და „ქართულ ოცნებას“, შეცვალონ მიღებული წესი და ნუ მოატყუებენ თბილისელებს.

თბილისის მერიის სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი კი თბილისის მოსახლეობის 60%-ისთვის ვაუჩერის შემცირებას მტკნარ სიცრუეს და ირაკლი აბესაძის მხრიდან მორიგ ტყუილს უწოდებს. ჩივიაშვილის თქმით, თვეში განსაზღვრული კომუნალური შეღავათისთვის მომდევნო კვირას 382 ათას ოჯახს 9,357 მლნ ლარი დაერიცხება. ეს თანხა იმაზე მეტია, ვიდრე 2013 წელს იანვრის თვეში მოსახლეობისთვის გადაირიცხა.

„თანხის გაზრდა გამოწვეულია იმ გაორმაგებით, რომელიც თბილისის მთავრობამ სოციალურად დაუცველთათვის განახორციელა“, — აღნიშნა ჩივიაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას. მისივე განმარტებით, არც ელექტროენერგიის და არც წყლის გადასახადზე კომუნალური შეღავათი არ შეცვლილა.

დასუფთავების გადასახადის შეღავათის გამოანგარიშება კი ხდება „კანონით მოსაკრებლების შესახებ“, რომელშიც პარლამენტმა შესაბამისი ცვლილება 2013 წლის ივლისის თვეში მიიღო. ამ კანონით, ელექტროენერგიის გადასახადი, რომელიც მიბმული იყო დასუფთავების გადასახადზე, გაიყო და დასუფთავების გადასახადი სულადობრივი გახდა. შესაბამისად, ამ კანონით ერთსულიანი ოჯახი თვეში 2,5 ლარს, ორსულიანი ოჯახი — 5 ლარს, სამსულიანი ოჯახი 7,5 ლარს იხდის, ხოლო ოთხსულიანი კი — 10 ლარს. ჩივიაშვილმა დასძინა, რომ მათი პროგრამაც იმ ოდენობის შეღავათის მაქსიმუმს ეფუძნება, რასაც კანონი ითვალისწინებს და უფრო დიდი მოცულობის შეღავათის გაცემა მერიას არ შეუძლია.

„მე შეკითხვა მაქვს მაგ ავტორების მიმართ. ოთხსულიანი ადრე 8 ლარს იღებდა, ახლა კი 10 ლარს მიიღებს, ამაზე რატომ არ საუბრობენ და დაითვალონ ოთხსულიანი ოჯახების რაოდენობა, რომელიც გაცილებით მეტია“, — დასძინა ჩივიაშვილმა.

ბექა დანელია



ოჯახი და ახლობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, სახალხო განათლების წარჩინებული, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭადრაკში

ოთარ ალხანიშვილი

პანაშვიდი 28 I, 17 სთ. დაკრძალვა 29 I, 14 სთ. თბილისი, დოლიძის ქ. 27, I სადარბაზო, XIV სართული.

მეუღლე ნათელა გაბუნია, შვილები თამრიკო, ეკა, მარინა, სიძე გიორგი ბრეგაძე, შვილიშვილები გიგი ბრეგაძე, სალომე გოგიბერიძე, რძალი მარიამ კაკაბაძე, შვილთაშვილები ელენე, ნატალია იუწყებიან რომ გარდაიცვალა

აკაკი (კაკო) ჩიქოვანი

პანაშვიდი 28 I 17 სთ. დაკრძალვა 29.I 14 სთ. მისამართი: თბილისი, აბაშიძის 44.

ძმა რაფიელ ჩიქოვანი, რძლები ეკა მაჩაბელი, რუსუდან კეშელავა, ძმისშვილები ირაკლი, ნიკოლოზი, ქეთევანი, თეა, რძალი მედეა (ბაჩკო) ჩაჩხიანი, სიძე გიორგი გოდერძიშვილი ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

აკაკი (კაკო) ჩიქოვანი

ზურაბ ამაშუკელი, ანზორ ახვლედიანი, ჯემალ გოგიჩაძე, მიხეილ ესაკია, კობა თოიძე, ირაკლი მეგრელაძე, ალექსანდრე მეტრეველი, მერაბ ნიკოლაიშვილი, ბეჟან ქევანიშვილი, თამაზ ჩხიკვაძე, ალექსანდრე ჩხეიძე, ავთანდილ შენგელია, ივანე ხახალეიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობრის და

მზია ზოთას ასული ჭელიძე

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს და ახლობლებს.

◎ ინფორმაცია

გრიპის ვირუსის ოდნავ მატებას ელოდებიან

გრიპის ვირუსის თვალსაზრისით წლევანდელი ზამთარი შედარებით სიმშვიდით გამორჩევა, თუმცა მოსალოდნელია, რომ თებერვალსა და მარტში ოდნავ მატება გვქონდეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ამირან გამყრელიძემ განუცხადა.

მისი თქმით, წელს სახელმწიფო რესურსით 10 000-მდე ადამიანის აცრა განხორციელდა.

„ესენი იყვნენ ძირითადად მაღალი რისკის ჯგუფის, ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანები, ბავშვები დიაბეტის დიაგნოზით, ასევე მოხუცებულთა სახლებში მყოფი მოხუცები, სამედიცინო პერსონალი, ვისაც შეხება აქვთ გრიპოზულ ინფექციასთან, ასევე შიდსის ვირუსით ინფიცირებული ადამიანები და კიდევ ასეთი რამდენიმე ჯგუფი. ერთობლივად 10 000-მდე ადამიანი ავცერით, რაც შარშანდელთან შედარებით 2-ჯერ მეტია. მოგეხსენებათ, რომ პარალელურად აცრა მიმდინარეობს კერძო სექტორშიც, იმიტომ, რომ გრიპის ვაქცინაცია არ შედის ეროვნულ კალენდარში, ეს გახლავთ ნებაყოფლობითი. აქედან გამომდინარე, გვინდა, ეს კულტურა, რომ ყოველწლიურად გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინით ბევრი ადამიანი აიცრას, ქვეყანაში თანდათან დაინერგოს“, — განაცხადა გამყრელიძემ.

წამლების 10 პროცენტი გაძვირებულია

მედიკამენტების 10% გაძვირებულია, განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ვალერი კვარაცხელიამ.

„იმ წამლებზე არის მატება, რომელიც დოლარის ზონიდან შემოდის, მათ შორის, რუსული და ბელორუსული წარმოების წამლებზე, თუმცა, ასეთი მედიკამენტები პროცენტულად ბევრი არ შემოდის. ჩვენ ამ ეტაპზე ვაწარმოებთ მონიტორინგს. თუ დავინახეთ, რომ პრეპარატზე ფასი კატასტროფულად გაიზარდა, მაშინ ჩავერევით“, — განაცხადა ვალერი კვარაცხელიამ.

მისი თქმით, მედიკამენტებზე ფასების მატება დოლარის კურსთან არის დაკავშირებული.

„თუ კატასტროფულად გაიზრდება წამლებზე ფასი და ხელმისაწვდომობა შემცირდა, ჩვენ ჩარევის საშუალება გვექნება. ჯერჯერობით ეს მდგომარეობა არ გვაქვს. თუ ვნახეთ, რომ ფასები კიდევ უფრო გაიზრდება, ამ შემთხვევაში გარკვეულ ზომებს მივიღებთ, იმისთვის, რომ შევაჩეროთ ზრდა, თუმცა, ბევრი რამე არის დამოკიდებული დოლარის კურსზე“, — განაცხადა ვალერი კვარაცხელიამ.

მისივე თქმით, თუ შეიქმნება ფორსმაჟორული სიტუაცია, ჯანდაცვის სამინისტრო ამ პროცესში ჩაერევა.

„შეიძლება სუბსიდირება მოვახდინოთ, შეიძლება მნიშვნელოვან მედიკამენტებზე ზედა ზღვარი დავაწესოთ. ამის საშიშროება ამ ეტაპზე არ არის და არ ვთვლით, რომ ამ ეტაპზე ჩავერიოთ. თუ დოლარის კურსი ქვევით ჩამოვიდა, ისევ დარეგულირდება ფასი. წამლების დაახლოებით 10%-ია ამ ეტაპზე გაძვირებული“, — განაცხადა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ.

როგორც მომხმარებლები აცხადებენ, ბოლო დღეებში მათ მედიკამენტების შეძენა გაზრდილ ფასად უწევთ. მათივე ინფორმაციით, წამლებზე ფასმა ძირითადად 1,50 ლარიდან 2 ლარამდე მოიმატა. თუმცა, მაგალითად, მედიკამენტი „დიპროსპანი“ 4 ლარით არის გაძვირებული.

◎ წერილი რედაქციას

მოტყუებული ხალხი

ადიგენში მცხოვრებ თამაზ ძაძამიას მფლობელობაშია სამარშრუტო მიკროვატობუსები, რომლებიც მოძრაობენ „ახალციხე-უდეს“ მარშრუტით. ღირებულება ლარნახევარია, რაც ისედაც გაღარიბებულ მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება. ბევრი სოფლის მცხოვრები ექიმთანაც ვერ მიდის (ექიმთან ვიზიტი, წამლების საფასური, მგზავრობის სიძვირე...).

სანამ „ოცნება“ მოვიდოდა, ძაძამია ყოველდღე ეუბნებოდა სოფ. უდის მოსახლეობას, „ოცნებამ“ თუ გაიმარჯვა, მგზავრობის ფასი ერთი ლარი იქნებაო. ცრუ დაპირების შესრულებას დღესაც ელოდება ხალხი. გარდა ამისა, ზოგი მოძრავი „მარშრუტკები“ ისეა მოძველებული, რომ მგზავრები საშიშროების წინაშე არიან.

ხალხის მოტყუება დანაშაულია, ხალხს აქვს მეხსიერება, ასე რომ, ნათქვამი და დაპირებები უნდა შესრულდეს.

შ. მაისურაძე,
გ. მერაბიშვილი,
ი.ზაზაშვილი,
ნ. ბალახაშვილი,
თ. აბულაძე.

რედაქციის
299-62-77;
568 82-09-84.

„ენერგო-პრო ჯორჯია“ ორ ახალ გადამცემ ხაზს აშენებს

„ენერგო-პრო ჯორჯია“ ორი ახალ გადამცემ ხაზს აშენებს. კომპანიის ინფორმაციით, აღნიშნული ხაზებით მიწოდებული ელექტროენერგია ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე ორი საწარმოს განვითარებას.

მათივე განმარტებით, 6 კილოვოლტი სიმძლავრის ხაზების მშენებლობა რამდენიმე დღის წინათ დაიწყო.

„აღნიშნული პროექტების ფარგლებში, „ენერგო-პრო ჯორჯია“ გარდაბანში აშენებს 6 კმ სიგრძის გადამცემ ხაზს, რომლის საპროექტო ღირებულება შეადგენს 182 000 ლარს, ხოლო რუსთავში — 3 კმ საჰაერო და საკაბელო ხაზს, რომლის სამშენებლო პროექტის ღირებულება 230 000 ლარია. რუსთავში აშენებული ხაზი ექსპლუატაციაში შევა იანვრის ბოლოს, ხოლო გარდაბანში — მიმდინარე წლის 10 თებერვლამდე“, — აცხადებენ „ენერგოპროში“.

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“
აცხადებს ტენდერს

შესყიდვაზე: წყალგაუმტარი დათბილული ქურთუკი და შარვალი — 129კომპ.

საქონლის მოწოდების ვადა 10 თებერვლამდე.

საკონტაქტო პირი: თემურ ჩიჩუა ტელ: 591-93-10-10

ლერი ჭიპაშვილი ტელ: 599-88-11-66

წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, დალუქული კონვერტით.

- განფასება წარმოდგენილი უნდა იქნას ლარებში დღგ-ს ჩათვლით.
- ანგარიშსწორების პირობები.
- ორგანიზაციის მომართვა, კომპანიის საქმიანობის ისტორიის მოკლე აღწერა.
- წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნას 2015 წლის 3 თებერვლის ჩათვლით 17 სთ-მდე.

ტენდერის შედეგები ცნობილი იქნება 2015 წლის 4 თებერვალს.

◎ ჩვენი კარაბადინი

ბავშვის ჭიჭინი?

მოზარდების გამოგონებებმა არსებითად შეცვალეს მსოფლიო

იანვარში აღნიშნავენ ხოლმე არაჩვეულებრივ დღესასწაულს. ამ დღეს (ეს ჩვეულებრივად 17 იანვარია) იხსენებენ სასრიალოებს, ბატუტებს, ხილის ყინულს და ბევრ სხვა რამეს — დაახლოებით 50-მდე საგანს, ურომლისოდაც თანამედროვე ცხოვრება ნაკლებად მოხერხებული იქნებოდა, ვინაიდან ესაა ბავშვების გამოგონებების დღე.

ბეწვის საყურისი
ჩესტერ გრინვუდი, 15 წლის

ყველას გვახსოვს, დედები და ბებიები, საკმარისი იყო ზამთარში ცხვირი გამოგვეყო გარეთ, რომ გვიყვიროდნენ: „სად მიდიხარ უქუდოდ?!“ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარ „წამებას“ განიცდიდა ჩესტერ გრინვუდიც. საქმეს ამწვავებდა ისიც, რომ ის ქუდებს ვერ იტანდა, აი ციგურები და სასრიალო კი ძალიან უყვარდა. დახურული სასრიალოები მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა. სამაგიეროდ, იქვე აღმოჩნდა ბეწვიანი ტყავის ნაგლეჯები და მავთული. მაშინ ექიმები ჯერ კიდევ არ საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ თავის სითბოს 80 პროცენტი სიბნელესთან ერთად მიდის. მთავარია, რომ ყურები იყოს დაფარული. ჩესტერის ბებია დამყოლი აღმოჩნდა და დაუჯერა შვილიშვილს. უკვე მეორე დღეს ის დასრიალებდა ყინულზე თვითნაკეთი ბეწვის საყურეებით.

ლასტები და სავარძელი-სარწეველა
ბენჯამინ ფრანკლინი, 12 წლის

იმ ადამიანის მოგონების თანახმად, ასდოლარიან კუპიურაზე რომაა გამოსახული, ის ყოველთვის იყო რაღაცის გამომგონებელი. ზოგჯერ მას მწვავედ დასცინოდნენ. ასე იყო იმ დღესაც, როდესაც სრულიად ნორჩი ბენი წავიდა საცურაოდ და თან წაიღო ორი პალიტრა ზედ მიკერებული ხელთათმანებით. უზარმაზარი ხარხარი ატყდა: „ბენიმ გადაწყვიტა თევზი გახდეს!“ მიუხედავად ამისა ფრანკლინმა გაუსწრო ყველას სწორედ ცურვისთვის ლასტების სწორედ ამ პროტოტიპის წყალობით. როდესაც წამოიზარდა, 15 წლისამ შენიშნა, თუ დედა როგორ არწევდა ბავშვს. თავადაც მოუნდა გამოეცადა ჩვილის შეგრძნებები, მაგრამ ეს ასაკს არ შეეფერებოდა. მაშინ, როდესაც სახლში მივიდა, სკამს მიამაგრა მოხრილი თავკავი (მარხილისა). ასე 1 საათში გაჩნდა დღეს სახელგანთქმული სავარძელ-სარწეველა. სწორედ ფრანკლინის დაბადების დღესთან დაკავშირებით გადაწყვიტეს დაეწესებინათ ბავშვების გამოგონების დღესასწაული.

ბრაილის შრიფტი
ლუი ბრაილი, 15 წლის

მეწაღის შვილი, მას პატივი ერგო დაეკრძალათ პარიზის პანთეონში. ბიჭუნა ლუი ერთი წლის ასაკში შემთხვევით წამოეგო მამის სასარაჯო დანას. ხუთი წლისთვის სრულიად დაბრმავდა. თუმცა, კითხვა მაინც ისწავლა, როდესაც თავისი საკუთარი შრიფტი გამოიგონა. პირველ პროტოტიპში ასოები გამოსახული იყო ფიცარში ჩარჭობილი პატარა ლურსმნებით. ეს შეაფასეს და სიახლე პარიზში ბრმათა სამეფო ინსტიტუტში გაგზავნეს. იმ დროს ტაქტილური შრიფტის ორი სისტემა არსებობდა — ბრმა მოქალაქეებისა და სამხედრო, გზავნილების კითხვისთვის სიბნელეში. ბრაილს არც ერთი არ მოეწონა — ისინი იყო უზარმაზარი და მოუხერხებელი. მაშინ მან დაამუშავა თავისი — მარტივი და მომხიბლავი. იმით სარგებლობს დღემდე მსოფლიოში ყველა უთვალისჩინო ადამიანი.

თოვლმავალი მუხლუხის სვლით
ჟოზეფ-არმან ბომბარდიე, 15 წლის

ძაღლის მარხილთან შედარებით, როგორც ჩრდილოეთში საუბრობენ, თოვლმავალს არსებითი ნაკლი აქვს — გატეხვის შემთხვევაში მას ვერც შეჭამ და ვერც სხვა თოვლმავალზე გამოიყენებო. თუმცა, სულ უფრო მეტი ადამიანი სარგებლობს გადაადგილების სწორედ ამ საშუალებით. ამისთვის ისინი კანადელი მოზარდის ჟოზეფის მადლობელი უნდა იყვნენ. უფრო სწორად, მისი უზადო სწრაფვისთვის ტექნიკისკენ. უზადო იქამდე, რომ ჟოზეფის მამამ მისცა მას ძველი ფარდული და დაშლილი „ფორდი“, თან წაუყენა პირობა: „ჩემ მანქანებს არ გაეკაროო!“ შედეგი პირველი თოვლმავალი გახდა. თუმცა, მისი მართვა აღვირით შეიძლებოდა, რომელიც მარხილის თავკავზე იყო მიბმული.

ნაყინი „ხილის ყინული“
ფრენკ ეპერსონი, 11 წლის

როგორც ჭეშმარიტ ამერიკელს, ნორჩ ფრენკს ძალიან უნდოდა გამდიდრება. იმ წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მიაჩნდათ, რომ სწრაფი და ძალიან დიდი ფული შეიძლება გამოიმუშაო ან კოკაინზე, ან გაზიან სასმელზე. ეს მაგალითები კარგად აითვისა ერთმა ამერიკულმა კომპანიამ — შუშხუნის (სასმელის) მწარმოებელმა. ფრენკმა კი გადაწყვიტა გამოეცადა ეს ლიმონათზე. და თამაში გამოუვიდა. პარმაღზე დატოვა რამდენიმე ჭიქა, რომლებშიც აურია თავისი „საიდუმლო სპეციალური შემადგენლობანი“. ღამით ძალიან დიდმა ყინვამ დაარტყა. ლიმონათები გაიყინა. მათში გაიყინა ჩხირებიც, რომლებიც ფრენკმა შემთხვევით ჩატოვა მათში. ასე გაჩნდა სპეციფიკური ნაყინი. ყველაზე იაფი და ოდესღაც — ყველაზე სასარგებლო, იმიტომ, რომ ნატურალურია.

სპორტული ბატუტი
ჯონ ნისენი, 16 წლის

„ბატუტა“ იტალიური სიტყვაა და „დარტყმას“ ნიშნავს. პრინციპულად ამგვარი გართობანი პრაქტიკაში ჰქონდათ ძველ ესკიმოსებსა და ჩუქჩებს — ისინი ბავშვებს ლომვეშაპის ტყავზე ახტუნავებდნენ ხოლმე. ცირკის აკრობატებიც ბრიყვები ხომ არ არიან — დამცავი ბადის გამოყენება XIX საუკუნის შუა პერიოდიდან დაიწყეს. მაგრამ ყველას ჭაბუკმა ჯონ ნისენმა აიოვადან აჯობა. ის ტანმოვარჯიშე იყო. მწვრთნელ ლარი გრისვოლდთან ერთად მან სასწაულებრივი რაღაცა შექმნა — კარკასი კუთხეებიანი რკინით, ტილო არმიული ბრეზენტის საწოლისგან და რეზინის ამორტიზატორები. ეს სპორტულ-გასართობი ბატუტის პროტოტიპი იყო. სხვათა შორის, იგი ისევ ბავშვებმა გამოსცადეს, სკაუტის ბანაკში. ახლა ბატუტი ნებისმიერ საბავშვო კომპლექსშია.

ЗДОРОВЬЕ

სად მკურნალობენ კიბოს ყველაზე უკეთ?

ავადმყოფობათა უმრავლესობას (მათ შორის, ონკოლოგიურსაც) ყველა ქვეყანაში მკურნალობენ დაახლოებით ერთნაირად, ასეთია სამედიცინო დაწესებულებათა თითქმის საერთო აზრი. თუმცა, მკურნალობის შედეგები მართლაც მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. ჯერ ერთი, პროგნოზი ონკოლოგიაში დიდადაა დამოკიდებული დაავადების სტადიისგან. ამიტომ ყველაზე წარმატებულად კიბოს მკურნალობენ იმ ქვეყნებში, სადაც მოწესრიგებულია სკრინინგისა და ადრეული დიაგნოსტიკის პროგრამები. მეორეც, მოსახლეობის უმეტეს ნაწილს უნდა ჰქონდეს გამოკვლევისა და მკურნალობის მაღალტექნოლოგიურ მეთოდებთან ოპერატიული მიდგომის საშუალება. მესამეც, ექიმების არსენალში უნდა იყოს ხარისხიანი პრეპარატები. ყველაზე ბრწყინვალედ გაკეთებული ოპერაციაც კი არ იძლევა შედეგს, თუ ამ ოპერაციის შემდეგ პაციენტი უნაყოფო თერაპიას იღებს. მეოთხეც, ონკოლოგიური პაციენტების ცხოვრების ხარისხი და ხანგრძლივობა პირდაპირაა დამოკიდებული რეაბილიტაციაზე, რომელიც ბევრ ქვეყანაში სულაც არ არის.

იმ ქვეყნებში, სადაც მოწესრიგებულია ეს ოთხივე შემადგენელი ნაწილი, მკურნალობის შედეგი გაცილებით უკეთესია. ძირითადად ესენია დასავლეთი ევროპის ქვეყნები, ისრაელი, ამერიკის შეერთებული შტატები. თუმცა, იქაც მკურნალობის შედეგები სხვადასხვა კლინიკაში სხვადასხვაგვარია.

ბედნიერება არა ფულში, არამედ სტატუსშია?

ადამიანის სოციალური სტატუსი პირდაპირაა დაკავშირებული მის განწყობილებასთან, აჩვენა კალიფორნიელი ფსიქოლოგების გამოკვლევამ.

600-ზე მეტმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა უპასუხა შეკითხვებს იმის შესახებ, თუ როგორ აფასებენ ისინი თავიანთ მიღწევებსა და სოციალურ სტატუსს. მათ ასევე ისაუბრეს, თუ როგორი ურთიერთობა აქვთ ადამიანებთან (ერთიანდებიან მათთან საერთო მიზნების მიღწევისთვის თუ თავი ასოციალურად უჭირავთ). ისინი, ვისაც დიდად არ ახარებდა თავისი წარმატებები და არ გრძნობდა თავს უფლებამოსილად, უფრო ადვილად ემორჩილებოდნენ დეპრესიასა და განგაშს. იმ რესპონდენტებს კი, ვის მიერაც თავისი თავის შეფასება იყო ძალიან მაღალი, პირიქით, ჰქონდათ თვისებები, რაც დამახასიათებელია ბიპოლარული მოშლილობისა და ნარცისიზმისთვის.

სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებლები, სადაც მიღებულია მიაღწიონ მაღალ სოციალურ სტატუსს, 3-ჯერ უფრო მეტად ექვემდებარებიან დეპრესიას, ვიდრე განვითარებადი ქვეყნების მცხოვრებლები, სადაც რბოლა ავტორიტეტისთვის უკანა პლანზე გადადის. ასე რომ, კავშირს თვითშეფასებასა და განწყობილებას შორის შეიძლება ჰქონდეს უფრო მეტი მნიშვნელობა ფსიქიკური მოშლილობის დიაგნოსტიკისთვის, ვიდრე ადრე მიაჩნდათ.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— გამარჯობა, კოლეგა, — ეუბნება გინეკოლოგი ქუჩაში შემხვედრ მეძავს.
— როგორ, თქვენც აქირავებთ საკუთარ სხეულს?
— არა, უბრალოდ ჩვენ ერთი და იმავე ადგილით ვშოულობთ ფულს.

* * *

— მიხო, მე ძალიან სულელი ვარ? — ეკითხება მარო.
— არა, საყვარელო, შენ ნაკლებად ჭკვიანი ხარ.

— მამი, მე ადვოკატი უნდა გამოვიდე.
— სწორი გადაწყვეტილებაა, შვილო, სწორედ ადვოკატი გჭირდება, რადგან ოჯახში პროკურორი უკვე გვყავს.
— ვინ არის პროკურორი ჩვენს ოჯახში?
— როგორ თუ ვინ? დედაშენი.

* * *

რუსეთში ნანოტექნოლოგიების დანერგვა ჯერ კიდევ ხრუშჩოვის დროიდან დაიწყო. დაიწყეს საცხოვრისიდან.

* * *

ჩვენ ყველანი ერთი მექანიზმის დეტალები ვართ. შენ, მაგალითად, ზედმეტი ხარ.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24